5202

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
10 ივნისი
1941 წ.
№ 134 (6139)
ფასი 15 კაპ.

გადამწყვეტი დღეები მოსავლის აღებისათვის მზადებაში

ტელეგრაფს ადგილებიდან ყოველდღიურად მოაქვს სასიხარულო ცნობები მარცვლეული თავთავიანი კულტურების უხვი მოსავლის შესახებ. 1941 წელს ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობები კარგ მოსავალს იღებენ. საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამიწათმოქმედო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს მარცვლეული მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკაში წელს საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ უნდა იქნას 12,5 ცენტნერი მარცვლეული. ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ეს საბრძოლო დავალება გადამეტებით შესრულდეს. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სოფ. ულიანოვკის კოლმეურნეობა „წითელარმიელში" ჰექტარზე საშუალოდ 19 ცენტნერი ქერი მიიღეს, ხოლო აქ ჰექტარზე 20 ცენტნერ ხორბალს მოელიან. წითელწყაროს რაიონის სოფ. მირზაანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ აიღებენ სულ მცირე 25 ცენტნერ მარცვლეულს. მსგავსი ფაქტები ბევრია.

კიდევ რამდენიმე დღე და მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება მასობრივად გაჩაღდება. ახლა ცენტრალური ამოცანა ის არის, რომ მოსავალი ავიღოთ უმოკლეს ვადაში და უდანაკარგოდ. ამხანაგი **სტალინი** გვასწავლის: „...ყველაზე პასუხსაგები საქმე მარცვლეულის მეურნეობაში მოსავლის აღებაა. მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე აიღებ—მოიგებ, დააგვიანებ მოსავლის აღებას—წააგებ". დიდი ბელადის ეს მითითება გვავალებს მთელი სერიოზულობით ხელი მოვკიდოთ მოსავლის სწრაფად აღების საქმეს.

საქ. სსრ სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში მიიღეს დადგენილება „მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების შესახებ". ამ დადგენილებაში მოცემულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. მიუხედავად ამისა, ზოგან შეუწყნარებლად აჭიანურებენ მოსავლის აღებისათვის მზადებას. თელავის რაიონის სოფ. კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში ჯერაც არ მოუყვანიათ სრულ წესრიგში მარცვალსაწმენდი მანქანები, ნელი ტემპით სწარმოებს ურმების რემონტი, არ შეუდგენიათ მოსავლის აღების ზუსტი გეგმა. ამ დღეებში თელავში შემდგარ რაიონულ თათბირზე გამოირკვა, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობანი ჯერ კიდევ ცუდად ემზადებიან მოსავლის ასაღებად. თელავის პარტრაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა მიიღონ ენერგიული ზომები ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

1941 წელს მაღალი მოსავლისათვის გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც სიღნაღისა და მახარაძის რაიონების მოწინავეთა ინიციატივით დაიწყო, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია საკოლმეურნეო სოფელში. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ არასაკმაოდ არის გაშლილი მუშაობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ლაგოდეხის რაიონი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მოსავლის მისაღებად. რაიონში მარცვლეულის კარგ მოსავალს მოელიან. მიუხედავად ამისა, ჭიანურდება ბელლების მომზადება. ამ რაიონის სოფ. რაჭისუბნის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში დღემდე არ დაუმთავრებიათ ბელლის შეკეთება. ბევრგან არ დაუწყიათ ბელლების დეზინფექცია. მაგრამ რატომღაც ლაგოდეხის რაიმიწგანი ამ გარემოებას დამშვიდებული შესცქერის. წითელწყაროს წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობაში არ მოუმზადებიათ სასწორები, ტომრები. სოფ. ქედის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ტარა-მასალას ახლა დაეძებენ.

ქერის აღების პირველი დღეები მოწმობენ, რომ ზოგიერთი რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მტს-ები და კოლმეურნეობები ყველა საჭირო ზომას არ იღებენ კომბაინების მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. ეს მაშინ, როდესაც კომბაინი გვეხმარება დროზე ავიღოთ მოსავალი და გვიცავს დიდძალი დანაკარგებისაგან. წნორის მტს-ის კომბაინი მთელი დღე გაცდა იმის გამო, რომ სოფ. ანაგის კოლმეურნეობა „ნაპერწკალის" გამგეობამ კომბაინერს დროულად არ მიაწოდა საწვავი მასალა და არც ნაკვეთების კუთხეები შემოთიბა, რომ კომბაინს ნორმალურად ემუშავა. სოფ. ანაგის კოლმეურნეობა „წითელი ანაგის" ხელმძღვანელთა დაუდევრობით აქ ორ დღეს გაცდა კომბაინი № 17. საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა, მტს-მა ამთავითვე უნდა გააკეთონ საჭირო დასკვნა შექმნილი მდგომარეობიდან და უზრუნველჰყონ კომბაინების წესიერი მუშაობა.

კომბაინებისა და სალეწი მანქანების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა გადაუდებელი ამოცანაა. გურჯაანის რაიონის კაჭრეთის მტს-ი კი ამ გარემოებას არ ითვალისწინებს. ამით აიხსნება, რომ ამ მტს-ს საკმაო რაოდენობით არა ჰყავს მწონავები სალეწ მანქანებზე სამუშაოდ. წითელწყაროს მტს-ს აკლია კომბაინერები და მათი თანაშემწეები. მტს-ის დირექტორს ამხ. მაისურაძეს ეს მდგომარეობა არ აღელვებს. საჭიროა სასწრაფო ზომები იქნას მიღებული კომბაინების და სალეწი მანქანების კადრებით სრული დაკომპლექტებისათვის; ამას მოითხოვს უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღების ამოცანა.

მოსავლის აღება მალე ფართოდ გაჩაღდება. ეს მოითხოვს მთელი ძალები დავრაზმოთ იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ამ ფრიად პასუხსაგებ სამუშაოს. ამავე დროს მტკიცედ უნდა იქნას გათვალისწინებული ის ნაკლოვანებანი, რომელთაც ცალკეულ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში აქვს ადგილი ქერის აღების პირველ დღეებში. სიღნაღელთა მოწოდების საფუძველზე გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება უნდა წარიმართოს ლოზუნგით —არ დავკარგოთ არცერთი თავთავი. საამისოდ ყველა პირობა არსებობს. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებამ უდიდესი სტიმული შექმნა კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის: საჭიროა განუხრელად განვახორციელოთ ეს შესანიშნავი დადგენილება.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები პასუხისმგებელი არიან პარტიისა და მთავრობის წინაშე მთელი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ვინც დაუშვებს დანაკარგს, არ უზრუნველჰყოფს კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფო ვალდებულებების დროულად და მთლიანად შესრულებას, ის მკაცრი სასჯელის ღირსია.

უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო ვალდებულებანი შევასრულოთ პირველად გალეწილი პურიდან, — ასეთია საკოლმეურნეო სოფლის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანა.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ვაჭრობისათვის

ა. წ. პირველი ივნისისათვის ფინეთმა საბჭოთა კავშირს მოაწოდა მხოლოდ 885.600 ამერიკული დოლარის საქონელი, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირმა ფინეთს მიაწოდა 3.559.200 ამერიკული დოლარის საქონელი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ, სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მოქმედი სავაჭრო ხელშეკრულების თანახმად, ორივე ქვეყანას შორის საერთო საქონელბრუნვა ხელშეკრულების მოქმედების პირველი წლისათვის განსაზღვრულია 7.500 ათასი ამერიკული დოლარის რაოდენობით თვითეული მხრიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირმა ფინეთს მიაწოდა დაახლოებით 47,4 პროცენტი საქონელი, ხოლო ფინეთმა საბჭოთა კავშირს მოაწოდა 11,4 პროცენტი.

ფინეთის მიერ საქონელბრუნვის ვალდებულებათა არადამაკმაყოფილებელ შესრულებას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ხელი შეეწყო სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის.

მაგრამ, გაითვალისწინა რა ფინეთში არსებული სასურსათო სიძნელე, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ბ. სტალინმა ა. წ. 30 მაისს ფინეთის დესპანს სსრ კავშირში ბ-ნ პაასიკივის აღუთქვა, რომ უმოკლეს ვადაში ფინეთს გაიგზავნებოდა 20 ათასი ტონა მარცვლოვანი პურეული, წინათ მიწოდებული 15.578 ტონის გადამეტებით, და ამ შემთხვევაში ანგარიში არ გაეწევოდა იმას, რომ ფინეთი ცუდად ასრულებს საბჭოთა კავშირისათვის საქონლის მიწოდების ვალდებულებებს.

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ა. ი. მიქოიანმა ა. წ. 31 მაისს ფინეთის დესპანს ბ-ნ პაასიკივის აცნობა, რომ მან „ექსპორტხლებს" განკარგულება მისცა დაუყოვნებლივ შეუდგეს მარცვლოვანი პურეულის ზემოთ მოხსენებული რაოდენობის გაგზავნას ფინეთში. ამის ანგარიშში 7 ივნისამდე ფინეთს რკინიგზით უკვე 7.514 ტონა გაიგზავნა.

ჩქარი ბურღვის ოსტატი

წითელწყარო („კომუნისტის" კორ.). საქნავთის პატარა შირაქის სარეწაოში ჩქარი ბურღვის საუკეთესო მაგალითებს იძლევა ამხ. პ. ფიფიას ბრიგადა. მან ჭაბურღილ № 50-ში, რომლის სიღრმეა 580 მეტრი, გაბურღვა დაიწყო ამა წლის 17 მაისს და ნაცვლად 39-სა 16 დღეში დაამთავრა. ამხ. პ. ფიფიას ბრიგადა ერთ თვეში 1.125 მეტრს ბურღავს.

პ. ტუხაშვილი

მ. ვ. ფრუნზეს მუზეუმი მელიტოპოლის სადგურზე

სტალინის რკინიგზის მელიტოპოლის სადგურზე დაცულია ისტორიული ოთახი. 1920 წელს მასში სხდომა ჰქონდა მ. ვ. ფრუნზეს შტაბს, რომელიც იხილავდა პერეკოპის იერიშის ოპერატიულ გეგმას. ახლა აქ ეწყობა მ. ვ. ფრუნზეს მუზეუმი.

მომზადებულია 100-ზე მეტი ძვირფასი ექსპონატი—დოკუმენტები და სხვა მასალები, რომელიც შუქს ჰფენენ სამხრეთის ფრონტის რევოლუციონურ საბჭოს მოქმედებას მ. ვ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით. ბევრი დოკუმენტი გამოჰხატავს ი. ბ. სტალინის მოღვაწეობას სამხრეთის ფრონტზე.

დამთავრდა მესამე ხუთწლედის სესხის პირველი ტირაჟი

(მესამე წლის გამოშვება)

პეტროზავოდსკი, 8 ივნისი (საკდესი). დღეს პეტროზავოდსკში დამთავრდა მესამე ხუთწლედის სესხის (მესამე წლის გამოშვება) პირველი ტირაჟი, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა. გათამაშდა 172.463.200 მანეთის 1.104 ათასი მოგება. კარელია-ფინეთის სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში, სადაც სატირაჟო კომისიის მუშაობა მიმდინარეობდა, 2 დღის განმავლობაში რამდენიმე ათასი მშრომელი ესწრებოდა.

12 სესხმქონემ, რომელიც ტირაჟს ესწრებოდა, დღეს 3.850 მანეთი მოიგო. მოგება მათ იქვე მიეცათ.

O

მესამე ხუთწლედის სესხის (მესამე წლის გამოშვება) პირველი ტირაჟის მოგებათა ცხრილი გამოქვეყნდება მოსკოვის გაზეთებში 13 ივნისს. 12 ივნისს, 19 საათსა და 30 წუთზე, ეს ცხრილი რადიოთი გადაიცემა კომინტერნის სახელობის რვ-I სადგურით. (საკდესი).

თეოდოლიტი-ავტომატი

თეოდოლიტი უაღრესად ზუსტი ინსტრუმენტია, რომელსაც გეოდეზიური მუშაობის დროს იყენებენ ვერტიკალური და ჰორიზონტალური კუთხეების გასაზომად. თეოდოლიტის დახმარებით ყოველ წუთს დიდი სიზუსტით შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ორ წერტილს შორის არსებული მანძილი. ინჟინერმა გ. ი. სტოდოლკევიჩმა შეიმუშავა ორიგინალური თეოდოლიტი-ავტომატი.

მანძილი რომ საბოლოოდ გამოგვერკვია, ამისათვის წინათ საჭირო იყო ინსტრუმენტის მიერ ნაჩვენები ციფრები დაგვემუშავებინა ტრიგონომეტრიული ცხრილების დახმარებით, გვეწარმოებინა დამატებითი გამოანგარიშება. ახალი თეოდოლიტი ყველა ამ ოპერაციას დამოუკიდებლად ასრულებს და საბოლოო გამოანგარიშებას იძლევა. ეს ინსტრუმენტი განსაკუთრებით ძვირფასია ელემენტარული გეოდეზიის პრაქტიკული სამუშაოსათვის, ვინაიდან იგი პორტატიული და მარტივია და ბევრად უფრო სწრაფად შეიძლება გაზომვის განხორციელება.

5 ივნისი (საკდესი).

ყინულის გამოსაკვლევად გაფრენა არქტიკაში

8 ივნისს დილით ხიმკის წყალსაცავიდან აფრინდა შორი მოქმედების მფრინავი ნავი „სსსრ ნ-243", რომელსაც ჰმართავს ცნობილი პოლარული მფრინავი, ორდენოსანი მათე კოზლოვი. დაახლოებით 5 საათის შემდეგ ნავი არხანგელსკის ჰიდროპორტში დაეშვა.

საზღვაო - საჰაერო ხომალდი „სსსრ ნ-243" ყინულის გამოსაკვლევად მიემგზავრება კარის ზღვაში (საკდესი).

ახალი მიღება უმაღლეს სასწავლებლებში

საუბარი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ს. ვ. კაფტანოვთან

ორ კვირაზე ნაკლები დროის შემდეგ — 20 ივნისს — იწყება მიღება უმაღლეს სასწავლებლებში, რაც 1 აგვისტომდე გაგრძელდება. საბჭოთა კავშირის 781 უმაღლესი სასწავლებელი წელს 178 ათასზე მეტ ახალ სტუდენტს ჩარიცხავს. სამრეწველო ინსტიტუტებში შევა 40 ათასამდე მოსწავლე, სასოფლო-სამეურნეოში — 15 ათასი, სამედიცინოში — 24 ათასი, პედაგოგიურში—80 ათასზე მეტი. გარდა ამისა, წარმოებას მოუწყვეტლივ მიღებულ იქნება 11 ათასი სტუდენტი. მისაღები გამოცდები შესდგება 1-დან 20 აგვისტომდე.

ახალი შევსება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სახალხო კომისარიატებისა, უმაღლესი სკოლების დირექტორებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისაგან, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისაგან. საინტერესოა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამოცდილება. ისინი ინდივიდუალურ წერილებს უგზავნიან საშუალო სკოლების გამოსაშვები კლასის მოსწავლეებს, ხსნიან მოსამზადებელ კურსებს, ფართო პოპულარიზაციას ეწევიან აგრონომის, სოფლის მეურნეობის მექანიზატორის, ზოოტექნიკოსისა და სხვა პროფესიებისას. ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ინსტიტუტების პროფესორები და მეცნიერი მუშაკები საშუალო სკოლების უფროს კლასებსა, შახტებსა და კლუბებში საუბრებსა და მოხსენებებს აწყობენ სამთამადნო ინჟინერთა მუშაობის შესახებ. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი საშუალო სკოლის უკანასკნელი კლასის მოსწავლეებს შეხვედრას უწყობენ, „კარს უღებენ".

უკვე მეორე წელიწადია რაც ძალაშია უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები. გამოცდები დაწესებულია მხოლოდ განსაზღვრულ დისციპლინებში, უმაღლესი სასწავლებლის ან ფაკულტეტის სპეციალობის მიხედვით. ეს ხელს უწყობს უმაღლესი სასწავლებლების უფრო მართებულად დაკომპლექტებას.

წელს ბევრს ინსტიტუტში სახალხო მეურნეობისა და კულტურის მნიშვნელოვანი დარგების ახალი ფაკულტეტები, კათედრები და სპეციალობანი იქმნება. მაგალითად, ლენინგრადის მოლოტოვის სახელობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში იხსნება მექანიკური, ქიმიურ-ტექნოლოგიური და ცელულოზა-ქაღალდის წარმოების ფაკულტეტები, მოლოტოვისა და როსტოვის უნივერსიტეტებში ეწყობა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტები. დაიწყება მომზადება რამდენიმე ახალი სპეციალობის მუშაკებისა. მაგალითად, დონეცის ხრუშჩოვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი პირველად მოამზადებს ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაციისათვის სპეციალისტთა კადრებს.

უმაღლესი სკოლა წელს მიიღებს ცოდნის სხვადასხვა დარგის 325 სახელმძღვანელოს. პირველად გამოდის სახელმძღვანელო „XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისის რუსული კრიტიკის ისტორია". პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლებისათვის და უნივერსიტეტთა ისტორიული ფაკულტეტებისათვის გამოიცემა „რუსული ლიტერატურის ისტორია" პროფესორ ეგოლინის რედაქციით და სახელმძღვანელო „თანამედროვე რუსული ენა" პროფ. ვინოგრადოვის რედაქტორობით. დიდი ყურადღება ექცევა უცხო ენათა სახელმძღვანელოების გამოცემას.

უმაღლესი სასწავლებლებისათვის და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა უფროსი კურსებისათვის გერმანულ და ინგლისურ ენაზე გამოიცემა მეტალურგიის, ელექტროტექნიკის, გეოლოგიის, ქიმიისა და ტრანსპორტის დარგის სპეციალიზებული სახელმძღვანელო-ქრესტომატიები.

ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობა მოიპოვება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მოსამზადებლად. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ არც ერთი სტუდენტი არ ირჩევდეს შემთხვევით თავის მომავალ პროფესიას.

უმაღლესი სკოლების მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა — სავსებით უზრუნველჰყონ უმაღლეს სასწავლებელში კარგად მომზადებული ახალგაზრდობის მიღების გეგმა და ორგანიზებულად ჩაატარონ მიღება და სამაგალითოდ შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

(საკდესი).

მეცნიერთა შეხვედრა წითელი არმიის მებრძოლებთან და მეთაურებთან

8 ივნისს ქ. კიევში შესდგა ქალაქ კიევის მეცნიერთა საერთო-საქალაქო კრება მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობის მონაწილეობით.

უკანასკნელი წლის განმავლობაში კიევის მეცნიერმა მუშაკებმა წითელი არმიის ნაწილებში დაახლოებით 2.700 მოხსენება და ლექცია გამართეს. კიევის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა მოახდინა 960-კილომეტრიანი ველო-ტურისტული გარბენა, 10-დღიანი სათხილამურო ლაშქრობა, ამასთან წითელი არმიის ნაწილებს ეწვია. მეცნიერნი აცნობდნენ მებრძოლებსა და მეთაურებს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს.

სამხედრო-საზღვაო სასწავლებელთა დღე

ლენინგრადი, 8 ივნისი (საკდესი). დღეს ს. მ. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში შესდგა სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებისადმი მიძღვნილი მასობრივი სახალხო სეირნობა.

ათიათასობით ლენინგრადელმა ყურადღებით დაათვალიერა თანამედროვე სამხედრო-საზღვაო ტექნიკის გამოფენა, რომელიც გაიხსნა სამხრეთ სანაპიროზე. გამოფენილია ტორპედები, ნაღმები, ტყვიამფრქვევები, ზარბაზნები, მოქმედი რაციები, შტურმანის ყოველგვარი ხელსაწყო, ხომალდების მოდელები და სხვ.

დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად შუა ნევაში შემოვიდნენ ბაირაღებით მორთული წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის საბრძოლო ხომალდები.

სეირნობა დაიწყო სამხედრო მეზღვაურთა მასობრივი კროსით. სამი კილომეტრი დისტანცია გაირბინა დაახლოებით 5 ათასმა კაცმა. მრავალ სასპორტო მოედანზე გაიმართა შეჯიბრება კალათბურთში, ფრენბურთში, ბაგირის გადაწევაში და სხვ. დიდი წარმატებით გამოვიდნენ სამხედრო - საზღვაო სასწავლებელთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. სეირნობის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო გიმნასტთა გამოსვლა ჯელიერის მდელოზე. ფლოტის მომავალ მეთაურთა და ინჟინერთა ბატალიონები უჩვენებდნენ თავიანთ მაღალ ოსტატობას. ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ძერჟინსკის სახელობის ორდენოსანი უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის გიმნასტთა ბატალიონმა.

სამხედრო - საზღვაო სასწავლებელთა დღე ხალხმრავალი მიტინგით და კურსანტთა პარადით დამთავრდა.

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება სირიაში

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ავიაცია სრულ დახმარებას უწევს ინგლისისა და მოკავშირეთა ჯარებს, რომლებსაც იერიში მიაქვთ სირიაზე. ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლობისაგან მიღებული ცნობების თანახმად, ინგლისის ავიაგამანადგურებლები, რომლებიც სახმელეთო ჯარის შეტევას ჰფარავენ, არავითარ წინააღმდეგობას არ ხვდებიან. სააგენტოს აზრით, მოკავშირეთა ჯარები, ალბათ, საფლანგო იერიშებს მიიტანენ ჰომსზე ერაყიდან ან ტრანსიორდანიიდან, რათა დანარჩენ სირიას მოსწყვიტოს ტრიპოლი და ბეირუთი. ინგლისის ჯარი და დე გოლის ჯარი შეტევას აწარმოებენ ფრონტზე, რომელიც გაჭიმულია მერჯაუნიდან ჯებელ-დრუზამდე. ადრე მიღებული ცნობების თანახმად ჯებელ-დრუზის მთებში, რომელთა სიმაღლე 9 ათას ფუტს აღემატება, გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს.

მეორე ცნობაში სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ჯარი და დე გოლის ჯარი სირიაში სამი მიმართულებით უტევენ: პალესტინიდან, ტრანსიორდანიიდან და ერაყიდან. ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტი სირიის ნავსადგურებიდან ზარბაზნის სროლის მანძილზე მიმოდის. ინგლისის ჯარის შეტევის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ ბეირუთი, ალეპო, დამასკო. ჯარი, რომელიც პალესტინიდან უტევს, როგორც სჩანს, ჰაიფა-ბეირუთის გზით სარგებლობს.

თურქეთსა და სირიას შორის ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილია.

როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, ბრიტანეთის ჯარი, რომელიც სირიაში უტევს, ინგლისელების, ავსტრალიელებისა და ინდოელებისაგან შესდგება. სირიის არმიაში ირიცხება 45 ათასამდე ჯარისკაცი, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ფრანგები შეადგენენ, ხოლო დანარჩენს — სენეგალიელები, ალჟირელები, ტუნისისა და ლიბანის მცხოვრებნი, სირიელები და ინდო-ჩინელები.

ლიონი, 9 ივნისი (საკდესი). როგორც ჰავასის - ოფის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისელთა და გენერალ დე გოლის დიდმა მოტორიზებულმა ძალებმა არტილერიის დახმარებით გადალახეს სირიის საზღვარი და ცდილობენ ხელთ იგდონ დამასკოსაკენ მიმავალი გზები. ინგლისის ჯარის მოქმედებას დახმარებას უწევენ ინგლისის საზღვაო ძალები, რომლებიც ერთი სახაზო გემის, 2 კრეისერისა და 5 საესკადრო ნაღმოსნისაგან შესდგებიან. ეს ძალები ბეირუთის მახლობლად მიმოდიან. დილით ლიბანის ნაპირზე გადმოსხეს ინგლისის ჯარის ჯგუფი, რომელიც ტყვედ იქნა წაყვანილი. მტრის ავიაციამ ყუმბარა დააყარა დამასკოსა და ალეპოს აეროდრომებს, რასაც შედეგი არ მოჰყოლია და ტყვიამფრქვევი დაუშინა რაიაკის აეროდრომს.

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ვიშიდან გადმოგვცემს ოფიციალურ კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის სამხედრო გემებმა დესანტი გადასხეს საფრანგეთის ლიბანის სანაპიროზე. კომუნიკეს თანახმად, მთელი ეს დესანტი ტყვედ ჩავარდა. შემდეგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ტანკების 2 კოლონა ცდილობს დამასკოს მიაღწიოს.

იმავე სააგენტოს გადმოცემით, ბეირუთის რადიომ გამოაცხადა, რომ საფრანგეთის ჯარი წინააღმდეგობას უწევს სირიის მთელი სამხრეთის საზღვრის გასწვრივ. გუშინ ინგლისის თვითმფრინავებმა ორჯერ დააყარეს ყუმბარა ბეირუთს; ქალაქის მიდამოებში ცეცხლი გაუჩნდა ნავთსაცავს. ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე აეროდრომები ტადმორში (პალმირა) და რაიაკში.

აღნიშნავენ, რომ სირია-ლიბანის საზღვარზე საფრანგეთის ჯარმა 3 იერიში მოიგერია.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის დიდ მოტომექანიზებულ ძალებს იერიში მიაქვთ ბანიასზე ტიბერიადის ტბის ჩრდილოეთით 40 კილომეტრზე.

აგრეთვე იუწყებიან, რომ ინგლისის საზღვაო ესკადრა, რომელმაც იერიში მიიტანა ლიბანის სანაპიროზე ბეირუთის სამხრეთით, ერთი სახაზო გემისა, 2 კრეისერისა და 5 საესკადრო ნაღმოსნისაგან შესდგება.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", ემყარება რა ტულონიდან მიღებულ ცნობებს, გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის ფლოტის რამდენიმე შენაერთმა მიიღო ბრძანება მოემზადოს საომარი მოქმედებისათვის. გაზეთი ჰფიქრობს, რომ ეს ბრძანება სირიის ამბებთან არის დაკავშირებული.

ალექსანდრიაზე გერმანიის ავიაციის თავდასხმის გამო

ბერლინი, 9 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს გადმოცემით, 7 ივნისს, ღამით, გერმანიის ავიაციამ გააფთრებით დაუშინა ყუმბარა ალექსანდრიის საზღვაო ბაზას, კერძოდ, ძლიერ დაზიანდა არსენალი და ნავსადგურის საწყობები. განსაკუთრებით დიდად დაზიანდნენ ნავსადგურის დასავლეთ ნაწილში მდებარე ნაგებობანი, სადაც ადმინისტრატიულ შენობებში დიდი ხანძარი გაჩნდა. ძლიერ დაინგრა ნავსადგურის სახელოსნოები. გერმანიის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ალექსანდრიაზე მომხდარ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 40 ყუმბარმშენი. დანგრეულია მრავალი საცხოვრებელი სახლი, მოკლულია რამდენიმე ასი კაცი. 8 ივნისს ალექსანდრია დაახლოებით 50 ათასმა მცხოვრებმა დასტოვა.

ახალი სესხის გავრცელება საქართველოში

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს ცნობებით, 8 ივნისს საღამოსათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) ხელის მოწერის თანხა 185.571 ათას მანეთს შეადგენდა. აქედან ქალაქად—149.267 ათას მანეთს, სოფლად—36.304 ათას მანეთს. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის მთელს რესპუბლიკაში სესხზე ხელი მოწერილი იყო 157.752 ათასი მანეთის რაოდენობით.

8 ივნისს საღამოსათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ახალ სესხზე ხელის მოწერის თანხა 16.232 ათას მანეთს შეადგენდა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—3.217 ათას მანეთს, 9 ივნისს საღამოსათვის აჭარის ასს რესპუბლიკაში—12.768 ათას მანეთს.

მთელს რესპუბლიკაში სოფლად ხელმოწერილი თანხიდან 2.229 ათასი მანეთი უკვე განაღდებულია.

9 ივნისს, ღამის 11 საათისათვის, ქ. თბილისში 198.197 კაცს ხელი მოწერილი ჰქონდა 62.304.210 მანეთის სესხზე. ბერიას რაიონში ხელმოწერის თანხა 16.191.370 მანეთს შეადგენდა, სტალინის რაიონში — 10.723.305 მანეთს, 26 კომისრის რაიონში—9.846.880 მანეთს, კიროვის რაიონში—6.679.375 მანეთს, ლენინის რაიონში — 6.540.155 მანეთს, ორჯონიკიძის რაიონში—6.289.265 მანეთს, მოლოტოვის რაიონში—6.033.860 მანეთს. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის თბილისში სესხზე ხელმოწერის თანხა 55.911 ათას მანეთს შეადგენდა.

ახალ სესხზე ხელის მოწერა მთელს რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა საქმე ალიმენტების გადახდევინების შესახებ, რასაც დიდი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ლენინგრადის საოლქო სასამართლომ 1938 წლის ოქტომბერში ვინმე მოქ. ს. აღიარა 1937 წელს მოქ. ტ.-ს მიერ შობილი ბავშვის მამად და დაადგინა: გადაახდევინოს მოქ. ს.-ს მისი ხელფასის მეოთხედი. რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ სამოქალაქო საქმეების ხაზით ეს გადაწყვეტილება ძალაში დასტოვა. ამ დადგენილებას დაეთანხმა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგია. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტით ეს საქმე შევიდა პლენუმის განსახილველად.

ამ საქმის შესახებ თავის დროზე მოხდენილ იქნა ორი ექსპერტიზა: ერთი მოსარჩელის, მოპასუხისა და ბავშვის სისხლის ჯგუფის გამოსარკვევად, მეორე — მოქალაქე ს-ს ჯანმრთელობის გამოსარკვევად. სისხლის ჯგუფობრივი ანალიზის მიხედვით ექსპერტიზამ უარჰყო ს-ს მამობა. ს-ს მამობის საკითხი მეტად საეჭვოდ მიიჩნია ექსპერტ-უროლოგმაც. მაგრამ ექსპერტების ეს ორივე დასკვნა სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში და თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო მხოლოდდამხოლოდ მოქ. ტ-ს და რამდენიმე მოწმის ჩვენება. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამაც უარჰყო ექსპერტიზის დასკვნა. კოლეგიის აზრით, საჭიროა სისხლის ანალიზი არა მარტო ჯგუფების მიხედვით, არამედ ტიპების მიხედვითაც.

პლენუმის განსახილველად შემოსულ პროტესტში აღნიშნულია, ასეთი აზრი მცდარიაო. მამობის გამოსარკვევად საკმაოა სისხლის ერთი მეცნიერულად დასაბუთებული ანალიზი — ან ჯგუფების მიხედვით, ან ტიპების მიხედვით.

სასამართლო კოლეგია, სცნო რა ს. ბავშვის მამად, სხვათა შორის იმას დაეყრდნო, რომ ს-მ „ვერავინ დაასახელა შესაძლო მამად". პროტესტში აღნიშნულია, რომ ბავშვის მამის ჩვენება და მამობის დამტკიცება მოსარჩელის საქმეა, შეუძლებელია მოპასუხეს მოთხოვო, რომ მან ბავშვის მამა ეძიოს, ვინაიდან მთელ რიგ შემთხვევაში ეს იქნებოდა მისთვის წაგვერთმია სასამართლო დაცვის უფლება.

პლენუმმა დააკმაყოფილა ეს პროტესტი. საქმე გადაეგზავნა ლენინგრადის საოლქო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. (საკდესი).

მოსავლის აღება კოლმეურნეობებში

საქმიწსახკომის ცნობებით, 5 ივნისისათვის თავთავიანი კულტურების მოსავალი სიღნაღის, ლაგოდეხის, თბილისისა და ბორჩალოს რაიონების კოლმეურნეობებში აღებული იყო 1.394 ჰექტარზე, მათ შორის კომბაინებით — 1.264 ჰექტარზე.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურების მოსავალი 5 ივნისისათვის აღებულ იქნა 795 ჰექტარზე, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში — 487 ჰექტარზე, თბილისის — 104-ზე, ხოლო ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებში — 8 ჰექტარზე.

5 ივნისისათვის სიღნაღის, თბილისისა და ბორჩალოს რაიონებში აღებული მოსავალი მთლიანად გალეწილი იყო, ლაგოდეხის რაიონში კი 487 ჰექტარის მოსავლიდან გაილეწა 357 ჰექტარისა.

5 ივნისისათვის თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების დაწყების შესახებ სხვა რაიონებიდან მიწსახკომს ცნობები არ მიუღია.

საგაზაფხულო კულტურების თესვა

საქმიწსახკომის ცნობებით, საგაზაფხულო კულტურები საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 5 ივნისისათვის დათესილი იყო 544.424 ჰექტარზე, ანუ გეგმის 98,5 პროცენტი. მათ შორის მარცვლეული და პარკოსანი კულტურები დათესილი იყო 420.379 ჰექტარზე (გეგმის 100,2%), კარტოფილი — 17.275 ჰექტარზე (98,7%), ბოსტნეული კულტურები—11.056-ზე (89,3%), მრავალწლიანი ბალახები — 7.850-ზე (80,1%), ერთწლიანი ბალახები — 25.673-ზე (84,7%) და სხვ.

5 ივნისისათვის თესვის გეგმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკას შესრულებული ჰქონდა 84,4 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკას — 96,2, აბაშის რაიონს — 97,7, ცხაკაიას — 95,4, გეგეჭკორის — 96,5, ხობის — 91,9, ჩხოროწყუს — 98,4, ლანჩხუთის — 88,2, ჩოხატაურის — 96,3, ფოთის — 89,2, სამტრედიის — 96,5, წულუკიძის — 98,3, ზესტაფონის — 99,5, ჭიათურის — 99,2, ზემოსვანეთის — 97, ახალქალაქის — 99,9, ბოგდანოვკის — 98,3, წალკის — 95,8, თიანეთის — 92,8, ყაზბეგის — 46,7, მცხეთის — 97,5, ყარაიის — 87,3 და ბაშკიჩეთის რაიონს — 98 პროცენტით.

5 ივნისისათვის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს და საქართველოს 34 რაიონს თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდა.

კომბაინების რემონტი

5 ივნისისათვის, საქმიწსახკომის ცნობებით, საქართველოს სსრ მტს-ებში კომბაინების შეკეთების გეგმა შესრულებული იყო 99,5 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 410 კომბაინიდან შეკეთებული იყო 408 კომბაინი.

ქარელის მტს-მა რემონტის გეგმა შეასრულა 80 პროცენტით, გორის მტს-მა — 70 პროცენტით, ახალსოფლის — 75, ქსუისის — 66,7, თიანეთის — 50, წითელწყაროს — 73,5, შირაქის — 93,3, სადახლოს — 83,3 და საგარეჯოს მტს-მა — 89,5 პროცენტით.

5 ივნისისათვის კომბაინების რემონტის გეგმა შესრულებული ჰქონდა 24 მტს-ს.

5 თვეში განაღდებულია 8 თვის პროგრამა

თბილისის ლითონ-კონსტრუქციის ქარხანამ მიმდინარე წლის 8 თვის საწარმოო გეგმა 1 ივნისისათვის შეასრულა. ქარხანამ გამოუშვა 2.704.000 მანეთის სამრეწველო ნაგებობათა ლითონის კონსტრუქციები, ნავთის ტარა და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის საყრდენი.

დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს: სტახანოველმა-ელექტროშემდუღებელმა, ორდენოსანმა მ. თოთოსაშვილმა, რომელმაც 175 პროცენტით შეასრულა დავალება, ელექტროშემდუღებელმა ს. მეტრეველმა—160 პროც. და ს. ბულდიგინმა — 156 პროც. ამწყობთა შორის ყველაზე წინ არის ა. გვიმბრაძე, რომელმაც გეგმა 170 პროც. შეასრულა, მწნეხავთა შორის კი ქ. მუხიგულაშვილი და ნ. ქაბინი, რომელნიც გეგმას 155-170 პროც. ასრულებენ. (საქდესი).

გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს

საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკური ქვემდებარების საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს მაისისა და 5 თვის გეგმა.

მაისში ჩამორჩენილი საწარმოები არა ყოფილან; პირველი შემთხვევაა, რომ ყველა საწარმომ და ცალკე თვითეულმა საწარმომ თვიური პროგრამა შეასრულა. მთლიანად სახალხო კომისარიატის ხაზით მაისის გეგმა შესრულებულია 111,2 პროცენტით, გამოშვებულია 5.162.000 მანეთის პროდუქცია. საუკეთესო წარმატებას მიაღწიეს „მთავკულტპოლიგრაფმრეწვ-ს" საწარმოებმა (119,6 პროცენტი); დავალება აგრეთვე გადამეტებით შეასრულეს „მთავმანქმრეწვის" და „მთავმადნმრეწვის" საწარმოებმა.

5 თვის განმავლობაში იმ ფაბრიკებმა და ქარხნებმა, რომლებსაც ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი აერთიანებს, 22.348.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და გეგმა 106,1 პროცენტით შეასრულეს.

ადგილობრივი მრეწველობის წარმატებითი მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგს წარმოადგენს.

ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გადიდებისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 9 იანვრის დადგენილებამ ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ ჩვენი სახალხო მეურნეობის წინაშე დასვა მეტად მნიშვნელოვანი სამეურნეო ამოცანა. ადგილობრივი ნედლეულის მაქსიმალურად გამოყენებით უნდა გავადიდოთ ფართო მოხმარების საგნების გამოშვება. ამ მეტად ღირსშესანიშნავი დადგენილების საფუძველზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქ. სსრ სახკომსაბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით რაიონებს მიეცათ კონკრეტული მითითებები იმის შესახებ, თუ რა სახის ნედლეული უნდა იქნას გამოყენებული ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვებისათვის, რა პირობებში იწარმოებს დაფინანსება და სხვ.

ამის შესაბამისად წამოწყებებისათვის საჭირო საპროექტო ხარჯთაღრიცხვის საბუთების დამტკიცების წესების შესახებ სსრ კავშირის ფინსახკომმა ა. წ. 17 აპრილს სამრეწველო ბანკის ფილიალებს შემდეგი მითითება მისცა:

იმ რესპუბლიკებში, სადაც საოლქო დაყოფა არ არის, ისეთი წამოწყებების სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო საბუთებს, რომელთა ღირებულება 50 ათას მანეთს არ აღემატება, ამტკიცებს წარმოების ხელმძღვანელი, 50 ათასიდან 200 ათასი მანეთის ღირებულებამდე — ამტკიცებს რაისაბჭოს აღმასკომი, ხოლო ისეთი წამოწყების ღირებულება, რომელიც 200 ათას მანეთს აღემატება, მტკიცდება სათანადო რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის მიერ.

დღემდე დაშვებულია სესხი 55 რაიონული წარმოებისათვის სულ 2951,5 ათასი მანეთის რაოდენობით.

სსრ კავშირის ფინსახკომის ეს მითითება ხელსაყრელ პირობებს უქმნის რაიონებს სწრაფი ტემპით გაშალონ მუშაობა და იბრძოლონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების განხორციელებისათვის.

კ. დავლიანიძე

სამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი.

საგაზაფხულო გამოცდები სასწავლებლებში

მუსიკალურ ათწლედში

მუსიკალურ ათწლედში საგაზაფხულო გამოცდებამდე ერთი თვით ადრე შედგენილი იყო გამოცდების ცხრილი, ზოგიერთ საგანში დანიშნული იყო დამატებითი სამეცადინო საათები, დანარჩენ საგნებში კი — საკონსულტაციო საათები. გამოცდები ჯერ სპეციალურ და შემდეგ თეორიულ საგნებში იქნა ჩატარებული. გამოცდები ჩატარდა ორგანიზებულად, ცხრილის მიხედვით, მშვიდი, საქმიანი და შეგნებული მიდგომით.

ათწლედის მოსწავლენი გამოცდებს კარგი მომზადებით შეხვდნენ, რის გამო ფრიადოსანთა რიცხვი 1939/40 სასწავლო წელთან შედარებით 52 მოსწავლიდან გაიზარდა 71-მდე. დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული ათწლედის პედპერსონალს, რომლიდანაც აღსანიშნავია დოცენტი ლ. შიუკაშვილი, ლ. იაშვილი (ვიოლინო), კაპელნიცკი (ვიოლონჩელი), ჩარექიშვილი (ფორტეპიანო) და სხვ.

მუსიკალური ათწლედის მოსწავლეებს შორის თავი ისახელეს: ე. ძიძაძემ, ყარიბაშვილმა, ვლასენკომ (პროფ. ვირსალაძის კლასი), ამირეჯიბმა, ჩხეიძემ, დავლიანიძემ (პროფ. თულაშვილის კლასი), ოქროპირიძემ, ბენდეროვმა, ტერ-სააკოვმა (დოც. ლ. შიუკაშვილის კლასი), ცინცაძემ (კაპელნიცკის კლასი), ლაზკომ (პროფ. მინიარის კლასი), ცაბაძემ, ხოჯავამ, პირუმოვმა, ცინცაძემ (დოც. ვანდა შიუკაშვილის კლასი) და სხვ.

მოსწავლენი, რომელთაც გამოაჩნდათ კომპოზიტორული ნიჭი, მიმაგრებული არიან მაღალკვალიფიციურ პროფესორებთან. მათთან სისტემატური მუშაობა სწარმოებს.

აღსანიშნავია ათწლედის დირექტორის თაქთაქიშვილის სერიოზული, საქმიანი ხელმძღვანელობა და მის მიერ მოსწავლეთა შორის ჩატარებული მნიშვნელოვანი მუშაობა.

ვ. ახმეტელი

მე-18 სკოლაში

შესანიშნავი შთაბეჭდილება დასტოვა აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის მე-18 სკოლის X კლასის მოსწავლეთა გამოცდამ ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

მოსწავლეთა როგორც წერითმა, ისე ზეპირმა გამოცდამ ცხადჰყო, რომ მეათე კლასელებს საუკეთესოდ შეუთვისებიათ განვლილი მასალა. ისინი კარგად იცნობენ ჩვენი მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას, ამომწურავად და მრავალფეროვნად ახასიათებენ ნაწარმოებთა გმირებს. წერითს ნამუშევრებში სჩანს, რომ მოსწავლენი მონდომებით მუშაობდნენ დედა-ენის საფუძვლიანად შესწავლაზე. ლოგიკური მსჯელობა, დახვეწილი და გამართული წინადადებანი, ქართული ენის მდიდარი ლექსიკა და სხვ. შესანიშნავად არის გამოყენებული მოსწავლეთა მიერ წერითს ნამუშევრებში.

კლასმა გამოცდა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. სამოცი მოსწავლიდან წერაში ფრიადი მიიღო — 29, კარგი — 23 და საშუალო — 8, ხოლო ზეპირში ფრიადი მიიღო — 35, კარგი — 18 და საშუალო — 7.

გამოცდას აწარმოებდნენ დამსახურებული პედაგოგი ვ. ვარდიაშვილი და მგალობლიშვილი. გამოცდას დაესწრნენ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. გოზალიშვილი და მე-18 სკოლის დირექტორი ქაჯაია.

კოლოფ თესლზე 95.9 კილოგრამი პარკი მიიღეს

თელავი, (ტელეგრაფით). ქისტაურის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა" 27 გრამ მურზე სახელმწიფოს ჩააბარა 148 კილოგრამი პარკი, კოლოფზე—95,9 კილოგრამი.

თელავის რაიაბრეშუმის გამგე **ანდრონიკაშვილი**

მოსავლის აღების პირველ დღეებში

გურჯაანი („კომუნისტის" სპეც. კორ.). გურჯაანის მტს-მა წელს კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურების მოსავალი უნდა აიღოს 2.800 ჰექტარზე. ამ მიზნით აქ დროულად შეაკეთეს 17 კომბაინი და მოიმარაგეს საწვავი მასალა. 1 ივნისს სოფ. კარდანახის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში № 18 კომბაინით (კომბაინერი—ი. ბელიანინი) უკვე აიღეს ქერი 9 ჰექტარზე. მეორე დღეს ამავე კომბაინით ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ქერი აღებულ იქნა 11 ჰექტარზე, 7 ივნისს კი ქერის აღებაზე მუშაობდა გურჯაანის მტს-ის 5 კომბაინი, მათ შორის 3 კომბაინი — კარდანახისა და ვეჯინის, ხოლო თითო კომბაინი — ველისციხისა და გურჯაანის კოლმეურნეობებში. რაიონის კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში ქერის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 20 ცენტნერამდე აღწევს.

მაგრამ, როგორც მოსავლის აღების პირველმა დღეებმა ცხადჰყვეს, გურჯაანის მტს-ი სათანადოდ არ მომზადებულა მიმდინარე წლის უხვი მოსავლის ასაღებად. ზოგიერთი კომბაინის რემონტი მეტად დაბალია. მაგალითად, სოფ. კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინ № 4 კომბაინერმა იოსებ ხელაშვილმა 31 მაისს მიიყვანა, მუშაობა კი დაიწყო 1 ივნისს, მაგრამ ამავე დღესვე კომბაინის ნაწილი გატყდა და მანქანა გაჩერდა. აღნიშნული კომბაინი ამუშავებულ იქნა 2 ივნისს, მაგრამ ყოველი 15-20 მეტრის გავლის შემდეგ ხელახლა ჩერდებოდა (დღეში მხოლოდ 1-2 საათს მუშაობდა). ამის გამო აღნიშნული კომბაინით 5 დღის განმავლობაში მოსავალი აღებულ იქნა მხოლოდ 9 ჰექტარზე. ამ დროის განმავლობაში მოსცდა სულ 8 კაცი და ერთი ტრაქტორი.

აღნიშნული კომბაინი, ნაწილების ხელახალი დაზიანების გამო, 6 ივნისს კვლავ უქმად იდგა. მუშაობა დაიწყო მხოლოდ 7 ივნისს, დღის 2 საათზე სოფ. კარდანახის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში, მაგრამ აქ, კომბაინის ცუდ მუშაობასთან ერთად, თავი იჩინა კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა უდარდელობამ და უპასუხისმგებლობამ — კომბაინერს და მის დამხმარეებს არ მიაწოდეს წყალი, არც საკვები. როგორც გამოირკვა, არ მოუმზადებიათ აგრეთვე კალოები და ბელელი, არ გამოუყვიათ დამხმარე მუშა-ხელი და სხვ.

ბელლებისა და კალოების მოუმზადებლობას (უმთავრესად შეუწამლავობას) ადგილი აქვს კარდანახის სასოფლო საბჭოს სხვა კოლმეურნეობებშიაც. აქვე კოოპერაციის მუშაკებს, მიუხედავად იმისა, რომ მოსავლის აღება 8 დღეა რაც დაიწყო, ერთხელაც არ მოჰგონებიათ, რომ დავალების თანახმად, კოლმეურნეებისა, კომბაინერებისა და ტრაქტორისტებისათვის მინდვრად მიეწოდებინათ პირველი მოთხოვნილების საგნები.

ასეთივე უდარდელობა გამოიჩინეს საექიმო პუნქტის (გამგე—ექიმი ს. ახობაძე) მუშაკებმა. მათგან მოსავლის აღების ადგილზე არავინ მისულა.

მოსავლის აღების პირველმა დღეებმა აგრეთვე გვიჩვენა, რომ გურჯაანის მტს-ს დღემდე არ გააჩნია სათანადოდ მოწყობილი მოძრავი სახელოსნო. გარდა ამისა, კომბაინებზე არ არის გამართული განათება ღამით მუშაობისათვის. მტს-ს საკმარისი რაოდენობით არა ჰყავს კომბაინერთა თანაშემწეები. გაუფორმებელია სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებები მოსავლის აღებაზე და სხვ.

გურჯაანის მტს-ისა და რაიმიწგანის ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები კოლმეურნეობებში მოსავლის აღებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის და უზრუნველჰყონ სათანადო წარმატებათა მიღწევა.

ტრ. თოდრაძე

იკისრეს ახალი ვალდებულება

ზუგდიდი (ტელეგრაფით „კომუნისტის" კორ.). სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებამ „კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ" ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეებში. 8 ივნისს შესდგა სოფ. დარჩელის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრება. კრებაზე გულდასმით გაეცნენ აღნიშნულ დადგენილებას. სიტყვებით გამოვიდნენ ფერმების გამგეები თ. ბარამია, ძ. კოდუა, ე. ნარმანია და კ. ჯახუა, რომლებმაც დადგენილების საპასუხოდ იკისრეს ახალი ვალდებულებანი.

სოფ. ინგირის კოლმეურნეობის კრებაზე იკისრეს წელს ჰექტარზე მიიღონ საშუალოდ 30 ტონა თივა, 15 ცენტნერი სოია, მიაღწიონ პირუტყვის მაღალპროდუქტიულობას და ნამატის მთლიანად შენარჩუნებას.

აკ. ქვარცხავა

ზუგდიდი. კოლმეურნეობა ინგირი. მწვანე ჩაის ფოთლის კრეფის საუკეთესო სტახანოველები, 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი, კომკავშირელები (მარცხნიდან მარჯვნივ) შ. გაბელაია და თ. ოთხოზორია.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 7 ივნისს გერმანიის ავიაცია უმნიშვნელო აქტიობას იჩენდა ინგლისში. 7 ივნისს ღამით ყუმბარები ჩამოგდებული იქნა ჩრდილოეთ შოტლანდიაში. იმავე დღეს გერმანიის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს ინგლისის გემთა დიდ ქარავანზე. ქარავნის მობადრაგე ხომალდებმა 2 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ინგლისის ავიაცია ლამანშზე მოქმედებდა. ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ჩრდილოეთ საფრანგეთის ბევრ პუნქტს. 7 ივნისს ღამით ინგლისის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს ბრესტის დოკებზე.

ბერლინი, 8 ივნისი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის სავაჭრო გემები 21.250 ტონა საერთო წყალწყვისა. 7 ივნისს ღამით შოტლანდიის დასავლეთ სანაპიროსთან გერმანიის ავიაციამ ჩასძირა მტრის 3 შეიარაღებული სავაჭრო გემი 21.000 ტონა საერთო წყალწყვისა. შოტლანდიის მახლობლად და ატლანტის ოკეანეში დაზიანებული იქნა კიდევ 2 დიდი [illegible] ინგლისის აღმოსავლეთ [illegible] მოსპობილი იქნა მტრის საგუშაგო გემი.

ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანია-იტალიის არტილერიამ წარმატებით დაუშინა ყუმბარა ინგლისის ხომალდებს ტობრუკის ნავსადგურში. გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მტრის ბატარიების პოზიციებს და ავტოკოლონებს. მტრის თვითმფრინავები არც დღისით, არც ღამით არ გამოჩენილან გერმანიის ტერიტორიაზე.

გენერალ დე გოლის ჯარისა და საიმპერიო ჯარის შესვლა სირიასა და ლიბანში

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ რადიოგრამა-ელვას: დღეს დილით გენერალ დე გოლის ჯარი საიმპერიო ჯარის დახმარებით შევიდა სირიასა და ლიბანში.

ლიონი, 8 ივნისი (საკდესი). როგორც ჰავასის - ოფის სააგენტო გადმოგვცემს, აღმოსავლეთ პალესტინიდან მოსული გენერალ დე გოლის ჯარი და ინგლისის ჯარი დღეს სირიის ტერიტორიაზე გადავიდნენ ჯებელ-დრუზის ოლქის სამხრეთ ნაწილში, სადაც ამჟამად ბრძოლა მიმდინარეობს. სირიისა და ლიბანის უმაღლესი კომისარი გენერალი დენცი ხელმძღვანელობს თავდაცვითს ოპერაციებს.

ინგლისის მთავრობის კომუნიკე სირიის ამბების გამო

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის მთავრობის კომუნიკეს სირიის ამბების გამო. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ, მიუხედავად ინგლისის მთავრობის გაფრთხილებისა, რასაც შეიცავდა 1940 წლის 1 ივნისის დეკლარაცია, ვიშის მთავრობამ სირიისა და ლიბანის საავიაციო ბაზები გადასცა გერმანიას და იტალიას და სამხარ მასალას აწვდიდა რაშიდ ალი ჰაილანის ჯარს ერაყში. ამის გამო დღეს დილით გენერალ დე გოლის ჯარი საიმპერიო ჯარის დახმარებით შევიდა სირიასა და ლიბანში. ამავე დროს, — ნათქვამია კომუნიკეში, — გენერალმა კატრუმ გენერალ დე გოლის სახელით გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომლითაც „სირიისა და ლიბანისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების გარანტიას იძლევა და ვალდებულებას კისრულობს დაიწყოს ამის გარშემო მოლაპარაკება". ინგლისის მთავრობა, — ნათქვამია კომუნიკეში,—მხარს უჭერს და უერთდება ამ დაპირებას.

საფრანგეთის მთავრობის განცხადება

ბორდო, 8 ივნისი (საკდესი). როგორც ჰავასის - ოფის სააგენტო იუწყება, ინგლისის ჯარისა და დე გოლის ჯარის სირიაში შესვლის გამო საფრანგეთის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც იმეორებს, რომ სირიაში არ არის გერმანიის ჯარი და რომ „გერმანიის თვითმფრინავები, რომლებმაც სირიას გადაუფრინეს და ერაყისაკენ მიემართებოდნენ, უკან დაბრუნდნენ დასავლეთის მიმართულებით". სირიაში დარჩა მხოლოდ 3 თუ 4 თვითმფრინავი რომლებმაც ავარია განიცადეს. საფრანგეთის მთავრობა ინგლისის მოქმედებას აფასებს როგორც „გაუმართლებელ აგრესიას", და აცხადებს, რომ იგი დაიცავს იმპერიას, რამდენადაც ძალა შესწევს.

საომარი მოქმედება სირიაში

ნიუ-იორკი, 8 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო კაიროდან იუწყება, იქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ღამის 2 საათზე ადგილობრივი დროით ინგლისის ჯარი გენერალ ვილსონის სარდლობით სირიაში შევიდა.

როგორც სააგენტო იუწყება, საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სირიაში, ჯებელ-დრუზის რაიონში და ესსუვეიდის სამხრეთით გააფთრებული ბრძოლაა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისელები, როგორც სჩანს, ცდილობენ ორი მხრიდან შემოუარონ დამასკოს. ერთმა კოლონამ, ალბათ, იერიში უნდა მიიტანოს ჯებელ-დრუზიდან, ხოლო მეორე ტევერიადის ტბის მიმართულებით გაემართება ქალაქ ბანიასაკენ. ჯერჯერობით არ არის ცნობები შეხვდა თუ არა მეორე კოლონა ვიშის მთავრობის ჯარს.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ბეირუთიდან იუწყება, სირიისა და ლიბანის სამხრეთ ნაწილში ბრძოლა მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა დაწყებული იმ მომენტიდან, რაც ინგლისის ჯარმა საზღვარი გადალახა.

იტალიის ცნობა

რომი, 8 ივნისი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება, რომ 7 ივნისს ღამით იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს მალტის საჰაერო ბაზებს.

ჩრდილოეთ აფრიკაში 6 ივნისს ღამით და გუშინ დღისით იტალიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ტობრუკის ბატარიებს და სამხედრო ნაგებობებს და ბევრგან ხანძარი და ნგრევა გამოიწვია. სივის მიდამოებში ბომბარდირებულ იქნა ინგლისის მოტომექანიზებული ნაწილები. ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ბენგაზსა და დერნას.

აღმოსავლეთ აფრიკაში, ჰალისა და სიდამოს ზონაში ბრძოლა გრძელდება.

გონდარის ზონაში ულშეფიტის იტალიელთა გარნიზონმა, რომელსაც ხელახლად მისცეს წინადადება დანებებულიყო, უარი განაცხადა, გამოხდომა მოაწყო და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მოალყე ჯარს.

საომარი ხარჯები ავსტრალიაში

ლონდონი, 7 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო კანბერიდან იუწყება, ავსტრალიის ფინანსთა მინისტრმა ფადენმა განაცხადა, რომ ავსტრალიაში თავდაცვის ხარჯები ამა წლის ივლისისათვის 250 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწევს. ფადენის აზრით, გადასახადების მომატება აუცილებელია.

მდგომარეობა კვიპროსზე

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ გერმანიის თვითმფრინავები კვიპროსის კუნძულზე გამოჩნდნენ, მაგრამ ყუმბარები არ ჩამოუყრიათ. კვიპროსის ქალაქის მოსახლეობა სასოფლო რაიონებში იხიზნება. კუნძულიდან გახიზნულთა შორის არის ამერიკელთა მცირე ჯგუფი, რომლებიც კვიპროსზე დარჩნენ იმის მიუხედავად, რომ ამასწინათ ამერიკის ხელისუფლებამ წინადადება მისცა, სამშობლოში წასულიყვნენ.

ჰელის განცხადება

ვაშინგტონი, 7 ივნისი (საკდესი). რუზველტთან თათბირის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა პრესის წარმომადგენლებს მიჰმართა განცხადებით, სადაც დაასურათა საფრანგეთ-ამერიკის დამოკიდებულება, რომელიც შეიქმნა საფრანგეთის დამარცხების შემდეგ. ჰელი შეეხო საფრანგეთისა და ღერძის სახელმწიფოთა ურთიერთობის საკითხს და განაცხადა, რომ ღერძის სახელმწიფოებთან საფრანგეთის პოლიტიკური თანამშრომლობა დათმობა იქნებოდა, რომელიც დროებითი ზავის მოთხოვნების ფარგლებს სცილდება.

დასასრულ, ჰელმა აღნიშნა: ამერიკის მთავრობა სასწრაფო ზომებს იღებს იმისათვის, რომ შეაგროვოს ცნობები, რომლებიც „ნათელს მოჰფენენ იმ პოლიტიკურ კურსს, რასაც ვითომდა დაადგა საფრანგეთის მთავრობა".

ჰელის განცხადებაზე გამოხმაურება საფრანგეთში

ბორდო, 7 ივნისი (საკდესი). როგორც ჰავასის - ოფის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის ავტორიტეტულ წრეებში კომენტარებს უკეთებენ ჰელის განცხადებას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის პოლიტიკას, გერმანიასთან თანამშრომლობისაკენ მიმართულს, ამერიკის შეერთებული შტატები განიხილავენ, როგორც არამეგობრულ აქტს. ხსენებულ წრეებში აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა მიმართული არ არის ვისიმე წინააღმდეგ და არ ლახავს რომელიმე სხვა სახელმწიფოს ინტერესებს. საფრანგეთის მთავრობას, — აცხადებენ ამ წრეებში, — სურს მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ინგლისის ცნობები ავიაციის ზარალზე კვირის განმავლობაში

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, კვირის განმავლობაში, რაც 5 ივნისს დამთავრდა, ახლო აღმოსავლეთში მოსპობილია მტრის 30 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ 9 თვითმფრინავი დაჰკარგა. სულ მაისის განმავლობაში საომარი მოქმედების ახლო აღმოსავლეთის ასპარეზზე მოსპობილია მტრის 244 თვითმფრინავი, ხოლო ამა წლის პირველი 5 თვის განმავლობაში — 1.243 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ მაისის განმავლობაში 65 თვითმფრინავი დაჰკარგა, მაგრამ მფრინავების ნაწილი გადარჩენილ იქნა.

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, კვირის განმავლობაში რაც 6 ივნისს დამთავრდა, ინგლისში და ბრიტანეთის კუნძულების ირგვლივ ჩამოგდებულია გერმანიის 17 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციას ზარალი არ მოსვლია. გერმანიაში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაიღუპა ინგლისის 13 თვითმფრინავი და მოსპობილია გერმანიის 5 ავიაგამანადგურებელი და 1 ყუმბარმშენი.

რეიტერის სააგენტო სირიაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში მიღებული ცნობების თანახმად, სირიაში მდგომარეობა ჯერ კიდევ სავსებით არ არის გამორკვეული. მაგრამ იციან, რომ ინგლისის ჯარმა და გენერალ დე გოლის ჯარის ნაწილებმა სანაპიროზე დაიკავეს დერაა, მერჯაიუნი და სური. (ტირი).

სააგენტო აღნიშნავს, რომ დერაა პატარა ქალაქია სირია-ტრანსიორდანიის საზღვარზე, ხოლო მერჯაიუნი პუნქტია, რომელიც დამასკოს სამხრეთ-დასავლეთით 50-60 კილომეტრზე მდებარეობს.

შემდეგ სააგენტო აღნიშნავს, რომ ლონდონში არ მოეპოვებათ სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა საზღვაო დესანტი სირიის სანაპიროზე გადასხდა, აგრეთვე არაფერი იციან ვიშიდან მიღებული იმ ცნობების შესახებ, რომ ეს მეზღვაურები ტყვედ ჩავარდნენ.

ლიბიაში, აღნიშნავს სააგენტო, ტობრუკის რაიონში ავიაციის აქტიური მოქმედებაა. სოლუმის რაიონში საარტილერიო სროლაა; სხვა ფრონტებზე მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა.

უნგრული გაზეთი უნგრელ გლეხთა და მოჯამაგირეთა მდგომარეობაზე

ბუდაპეშტი, 8 ივნისი (საკდესი). გაზეთ „პეშტი უიშაგის" ცნობით, უნგრეთის სასოფლო-სამეურნეო მუშებს მეტად მცირე ხელფასი ეძლევათ. განსაკუთრებით ცუდად ნაზღაურდება ქალის შრომა. მაგალითად, ნოგდარის თემში (ბუდაპეშტის ჩრდილოეთით) მინდვრად 4 თვის მუშაობაში ქალებს მხოლოდ 30-დან 40-მდე პენგე ეძლევათ.

გაზეთი „საბად სო" აღნიშნავს, რომ სეკეიფელდის (ჩრდილოეთი ტრანსილვანია) გლეხები სახნავი მიწის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. აქ ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა 7-8 ოჯახს ერთად მხოლოდ 3-4 იოხი მიწა აქვთ (იოხი უდრის 0,575 ჰექტარს).

გაზეთი განაგრძობს, რომ მოჯამაგირეთა მდგომარეობა მძიმეა მთელ უნგრეთში, მაგრამ მათი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა სეკეიფელდში. მოჯამაგირეთა ბავშვებს მთელი კვირის განმავლობაში რძე არ ეძლევათ, და არა აქვთ საკმაო პური. უკიდურესი გაჭირვების გამო 12-13 წლის ასაკის ბავშვები ქალაქად მიდიან, რომ რაიმე საზრდო იშოვონ.

საბჭოთა კინოფილმების დიდი წარმატება ირანში

თეირანი, 7 ივნისი (საკდესი). თეირანში განსაკუთრებული წარმატებით უჩვენებენ საბჭოთა კინოფილმს „პეპოს", აგრეთვე ფილმს „სიხარულის ქვეყანა", რომელიც მიძღვნილია საბჭოთა სომხეთის 20 წლისთავისადმი. კინოთეატრი „თეირანი" ვერ იტევს საბჭოთა კინოფილმების ნახვის მსურველთ. სალაროებთან ბილეთების საყიდლად დიდი რიგები დგას. დემონსტრაციის პირველი 4 დღის განმავლობაში ეს სურათები 10 ათასზე მეტმა კაცმა ნახა.

კინოსურათ „პეპოს" თეირანში ხელმეორედ უჩვენებენ. გასული წლის ნოემბერს ფილმი 18 დღის განმავლობაში 24 ათასმა კაცმა ნახა.

ა. უბილავა

მთავარი საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილე

საუკეთესოდ ჩავატაროთ საკურორტო სეზონი

საქართველოში 16 სახელმწიფო კურორტია, მათგან შვიდი — საკავშირო მნიშვნელობისა. გარდა ამისა, საქართველოში არის ადგილობრივი მნიშვნელობის 120 კურორტი, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი რაიონული ორგანოების გამგებლობაში იმყოფებიან. მთელს საქართველოში სამკურნალო ობიექტების დიდი ქსელია. მიმდინარე წელს იმუშავებს 73 სანატორიუმი, 39 დასასვენებელი სახლი, 7 პანსიონატი და 7 საკურორტო სასტუმრო. კურორტთა სამმართველოების გამგებლობაში, გარდა სპეციალური სამკურნალო სადგომებისა, არის 100.000 კვადრატულ მეტრზე მეტი საბინაო ფონდი (ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტთა სახლების ჩათვლით), რომელთაც ერთდროულად შეუძლიათ გაატარონ 20.000-ზე მეტი ამბულატორიული ავადმყოფი. 1941 წლის სეზონის საუკეთესოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის მიმდინარე წელს კურორტების კეთილმოწყობისათვის მთავრობამ გადასდო 20 მილიონ მანეთზე მეტი. გარდა ამისა, სალიმიტო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე განხორციელებული იქნება მშენებლობა რამდენიმე მილიონი მანეთის ღირებულებისა.

საკურორტო სამმართველომ და საუწყებო ჯანმრთელობის კერების ხელმძღვანელებმა უკვე გაშალეს სათანადო მუშაობა სეზონისათვის კურორტების მოსამზადებლად.

კურორტ წყალტუბოში სეზონი გაიხსნა მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე, 1 მაისს. უკვე ახლა აქ ორი ათასამდე მშრომელი მკურნალობს. გამწვანების დასახული ფართო გეგმა დამთავრებულია. გზების გაყოლებით, პარკებში და კურორტების ტერიტორიაზე უკვე დარგულია 400.000-ზე მეტი სუბტროპიკული ხე და ბუჩქი. უკვე დამთავრებულია იმ გზის მოპირკეთება, რომელიც კურორტს რკინიგზის სადგურთან აკავშირებს; სწარმოებს მუშაობა მეორე რგოლური გზის გასაკეთებლად. მეორე კვარტალში ამუშავდება კეთილმოწყობილი კინოთეატრი 550 ადგილით. საკურორტო სამმართველოს ოთხ კეთილმოწყობილ სამკურნალო ობიექტს გარდა კურორტზე არის ჯანმრთელობის უდიდესი კერა — პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სანატორიუმი და შენდება ახალი. მეორე კვარტალში დამთავრდება შიდასაკურორტო ელექტროქსელის გაყვანა.

სწარმოებს კურორტ წყალტუბოს წყლით მომარაგებასთან დაკავშირებული სამუშაოები. კურორტზე არის კომფორტაბელურად მოწყობილი სასტუმრო და მასთან პირველხარისხოვანი სასადილო-რესტორანი. მუშაობს დიეტური სასადილო. იმასთან დაკავშირებით, რომ კურორტი მთელი წლის განმავლობაში მუშაობაზე გადავიდა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით წყალტუბოში შექმნილია საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მუდმივი სამეცნიერო ბაზა. მიმდინარე წელს კურორტმა 200 ათას მანეთზე მეტის ინვენტარი და სამედიცინო აპარატურა შეიძინა. ავადმყოფთა და დამსვენებელთა კულტურულ-მასობრივი მომსახურებისათვის გადადებულია 390 ათასი მანეთი, გაფორმებულია ხელშეკრულებები ფილარმონიასთან და სახესტრადოსთან. კურორტზე კეთილმოწყობილია სავაჭრო საწარმოები, რომლებიც მომარაგებული არიან სხვადასხვა საქონლის საკმაო ასორტიმენტით.

კურორტი აბასთუმანი, რომელსაც სამართლიანად უჭირავს საპატიო ადგილი სხვა კურორტებს შორის, წელს სეზონისათვის კარგად მოემზადა. კარგად მოემზადნენ აგრეთვე ბორჯომი და ბორჯომის ჯგუფის კურორტები.

კურორტ მენჯში სეზონი გაიხსნა მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე, 1 მაისს. კურორტი სეზონისათვის დროულად მოემზადა. როგორც ძველი საბაზანო შენობა, ისე სანატორიუმის შენობა და პოლიკლინიკა კარგად შეაკეთეს. ამჟამად სწარმოებს მუშაობა კურორტის საერთო კეთილმოწყობისათვის.

კურორტ ახტალაზე ადგილობრივი რესურსების მობილიზაციის გზით ჩატარდა ტალახით სამკურნალოს რემონტი და სეზონი გაიხსნა მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე —1 ივნისს.

კურორტ ბახმაროსა და საირმეში წელს პირველად იხსნება პანსიონატები, თვითეული 50 საწოლით. შენობების რემონტს უკვე შეუდგნენ, გამოყოფილია მთელი საჭირო ინვენტარი. დიდი მუშაობა სწარმოებს კურორტ ჯავაში.

აფხაზეთის ჯგუფის ყველა კურორტი კეთილმოწყობილია. გაგრაში დამთავრდა მზადება საკურორტო სეზონისათვის, რომელიც უკვე დაიწყო. წელს აქ იმუშავებს 6 სანატორიუმი და 12 დასასვენებელი სახლი.

სსრ კავშირის ჯანსახკომის და მთავარი საკურორტო-სანატორიული სამმართველოს დირექტივის თანახმად ყველა კურორტზე შემოღებულია მკურნალობის კომბინირებული მეთოდები. ეს შესაძლებელს ხდის იმ ძვირფასი სამედიცინო აპარატურის სრულად გამოყენებას, რომლითაც აღჭურვილი არიან ჩვენი სამკურნალო დაწესებულებები კურორტებზე.

წელს დაწესებულია მკურნალობის ახალი ვადები. მთელ რიგ კურორტებზე ეს ვადები შემცირებულია, რაც შესაძლებელს გახდის მკურნალობის ხარისხისათვის ზიანის მიუყენებლად მეტი ავადმყოფების გატარებას.

რაც შეეხება სამედიცინო მუშაკთა კადრებს და სხვა პერსონალს, ამ მხრივ ყველა ჩვენი კურორტი უზრუნველყოფილია.

დიდი მუშაობა სწარმოებს ბოსტნეულის საკუთარი მეურნეობის გასაშენებლად და სარძეო-სასაქონლო ფერმების მოსაწყობად.

წინასწარი ცნობებით უკვე დათესილია 100 ჰექტარზე მეტი სხვადასხვა ბოსტნეული და მწვანილი, შეძენილია მეწველი პირუტყვი.

საამბულატორიო ავადმყოფთა უკეთესი მომსახურების მიზნით საკურორტო სამმართველოებს წინადადება მიეცათ მოაწყონ კურორტებზე დიეტური სასადილოები, გამოჰყონ კვალიფიციური ექიმები დამსვენებელთა საამბულატორიო მკურნალობისათვის.

სამედიცინო და სხვა პერსონალის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის მიცემულია მითითებანი მოეწყოს კომუნალური სასადილოები სრული თვითანაზღაურების პრინციპის საფუძველზე.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო კონტროლის რევიზიამ საკურორტო სამმართველოთა მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებანი აღმოაჩინა. გამოირკვა უყაირათობის, საფინანსო დისციპლინის დარღვევის, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა განიავების, სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტები.

რევიზიის შედეგად დასახულ იქნა ღონისძიებანი, რომელთა გატარებამ, შედეგად უნდა მოგვცეს საკურორტო მეურნეობის შეძღომი ამაღლობა, ავადმყოფთა და დამსვენებელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, სახსრების სწორად ხარჯვა და სხვ.

იმ დიდ მუშაობასთან ერთად, რომელსაც ამჟამად საკურორტო სამმართველოები ეწევიან, ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ მთლად არ არის აღმოფხვრილი. მაგალითად, ავადმყოფთა კომბინირებული მკურნალობისათვის საჭირო წინასწარი სამუშაოები საკმაოდ არ არის ჩატარებული. სუსტად სწარმოებს მუშაობა დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციისათვის. კურორტებში ბორჯომსა და ბახმაროში, აგრეთვე აჭარაში ეს დავალიანება იზრდება.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს სახსრების უკანონო ხარჯვის ფაქტებს. ასე, მაგალითად, კურორტმა ახტალამ ბალანსის შედგენაზე 5.000 მანეთამდე დახარჯა, ხოლო ზოგიერთ კურორტზე (შოვი და სხვ.) დაშვებულია უკანონო შეთავსებანი. კურორტ ბორჯომში აგრონომის ცუდი მუშაობის გამო საჭირო გახდა ტუიას ბუჩქების ხელახლა გადარგვა, რამაც რამდენიმე ათასი მანეთის გადახარჯვა გამოიწვია.

კურორტ აბასთუმანში სარძეო ფერმა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

შეუწყნარებლად გაჭიანურდა ახალი საბაზანო შენობის, წყალსადენისა და კანალიზაციის მშენებლობა მენჯში და სასადილოს მშენებლობა ბორჯომში.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით წელს საუკეთესოდ უნდა ჩავატაროთ მიმდინარე საკურორტო სეზონი.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ბიურო და საწარმოო საკითხები

XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან თბილისის მაუდის ფაბრიკის პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნები გააკეთა. 1941 წლის 1 მარტიდან ფაბრიკა გრაფიკით მუშაობაზე გადავიდა, რამაც თვალსაჩინო ეფექტი მოგვცა. აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ტალღა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შედარებით გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ფაბრიკამ ნახევარი წლის გეგმა ვადაზე ადრე, 6 ივნისისათვის უკვე შეასრულა. მ. წ. პირველ 4 თვეში პირველი ხარისხის პროდუქცია 73,3 პროცენტის ნაცვლად გამოშვებულია 79,3 პროცენტი.

რით მიაღწია ფაბრიკამ ამ წარმატებებს?

იმით, რომ პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ ანხორციელებდა კონტროლს დირექციის საქმიანობაზე, სწორად ათავსებდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო საქმიანობასთან. პარტიულ ბიუროს და პარტორგანიზაციის კრებას მრავალჯერ უმსჯელნიათ წარმოების ცალკე საკითხების გარშემო, გამოუნახავთ გეგმის შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის რგოლი და განუხორციელებიათ საქმიანი ღონისძიებანი ჩამორჩენის სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

სამღებრო-სააპრეტურო საამქროში ირღვეოდა გრაფიკი, გრძელდებოდა იერიშობანა, ტექნოლოგიურ დისციპლინას ხშირად არ იცავდნენ. პარტბიურომ 8 მარტს, ხოლო პარტორგანიზაციის კრებამ 13 მარტს სპეციალურად განიხილეს აღნიშნულ საამქროში გრაფიკისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის საკითხი. გამოირკვა, რომ საამქროში მოუწესრიგებელი იყო შრომა, მასალების მომჭირნეობით ხარჯვას, სისუფთავესა და წესრიგს საკმაო ყურადღება არ ექცეოდა. საამქროს პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობდა, საკმაოდ არ ეხმარებოდა ადმინისტრაციას აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

როგორც პარტბიურომ, ისე პარტორგანიზაციის კრებამ შეიმუშავეს სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა შესრულების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა. ამჟამად საამქრო რიტმიულად მუშაობს.

პარტიული ბიურო იბრძვის იმისათვის, რომ წარმოებაში აამაღლოს ოსტატებისა და ქვეოსტატების როლი. ამ მიზნით რამდენჯერმე ჩაატარა მათი თათბირები. თათბირზე განიხილეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, გეგმის ასორტიმენტის მიხედვით შესრულების, წარმოებაში ელემენტარული სისუფთავისა და წესრიგის დამკვიდრების საკითხები. პარტბიუროს ინიციატივით აგრეთვე მოწვეულ იქნა სტახანოველებისა და მრავალდაზგოსნების თათბირები. დასახულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი სტახანოველებისა და მრავალდაზგოსნებისათვის მუშაობაში ხელის შეწყობის მიზნით, კერძოდ, სამუშაო ადგილის მომზადების, ნედლეულით და საწარმოო იარაღებით უზრუნველყოფის, მასალების მომჭირნეობით ხარჯვაზე კონტროლის დაწესებისათვის და სხვ.

პარტბიურომ ამ დღეებში თავის სხდომაზე იმსჯელა დაზგების წესიერი მოვლა-პატრონობის საკითხზე, მიიღო საქმიანი ღონისძიებანი მათი ხარისხიანი, პერიოდული რემონტისათვის. ბიუროს დადგენილების შემდეგ სარემონტო-სამექანიკო საამქრომ მუშაობა გააუმჯობესა. ამჟამად დაზგების რემონტს ჯეროვანი ხარისხით ასრულებენ. ეს ფაქტი ნათელჰყო სპეციალურმა ბრიგადამ, რომელმაც დადგენილების შესრულების შემოწმების მიზნით ამასწინათ დაათვალიერა კამვოლურ და საქსოვ საამქროებში დაზგების მდგომარეობა. დათვალიერებამ ცხადჰყო, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა დაზგების მუშაობის შეფერხებანი. მაგალითად, კამვოლურ საამქროში საშუალოდ დაზგების 4 პროცენტი განიცდიდა შეფერხებას. ამჟამად კი შეფერხებათა შემთხვევები 1½ პროცენტამდეა დაყვანილი. ასევე შემცირდა დაზგების მუშაობის შეფერხების შემთხვევები საქსოვ საამქროში.

პარტბიურომ თვალსაჩინო აღმზრდელობითი მუშაობა გასწია ბარეზინთან, მაისურაძესთან, კლერტიშვილთან და სხვა კომუნისტებთან, რომლებიც ავანგარდულ როლს ვერ ანხორციელებდნენ, გეგმას ვერ ასრულებდნენ. პარტბიუროში ამ ამხანაგების მოწვევამ, საუბრის ჩატარებამ გააძლიერა მათში პასუხისმგებლობა. ისინი დღეს გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს, იძლევიან კარგი ხარისხის პროდუქციას.

პარტიულ-მასობრივი მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა ამ უკანასკნელ ხანებში. პარტბიურომ ახლო ხანში ჩაატარა პარტიის წევრობის კანდიდატების თათბირი საკითხზე — „როგორ უნდა იბრძოდნენ პარტიის წევრობის კანდიდატები საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის“. აგრეთვე ჩატარდა საამქრო პარტორგანიზაციათა მდივნების თათბირი. თათბირმა სპეციალურად განიხილა გრაფიკის საკითხი. პარტიული ბიურო იბრძვის იმისათვის, რომ ღრმად ჩასწვდეს ფაბრიკის ეკონომიკას. ამ მიზნით იგი ამჟამად ბიუროს სხდომისა და პარტიული კრებისათვის ამუშავებს პროდუქციის თვითღირებულების მდგომარეობის საკითხს. ამ საქმეში ფართოდ არიან ჩაბმულნი როგორც კომუნისტები, ისე უპარტიო ამხანაგები.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, პარტბიუროს თავის მუშაობაში აქვს ნაკლიც. ბიურო ყოველდღიურ დახმარებას ვერ უწევს საამქროთა და ცვლების პარტორგანიზაციებს, თავის სხდომაზე ჯერ არ უმსჯელნია ისეთ საკითხზე, როგორიც არის ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, ფაბრიკის ბუხჰალტერია და სხვ.

ფაბრიკის ბოლშევიკებმა მიღწეულ წარმატებათა შენარჩუნებით კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ბრძოლა XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

ვ. ალიძე

ბოლშევიკურ აგიტაციას ყოველდღიური ხელმძღვანელობა

გორი („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ღიცის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადაში აგიტატორად გამოყოფილია პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ბ. სოსიაშვილი. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრიგადის საქმიანობასთან და თავისი საუბრებით ეხმარება ბრიგადას მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. პარტიისა და მთავრობის მიმდინარე წლის 13 მარტის დადგენილების გარშემო სოსიაშვილმა კარგი საუბრები ჩაატარა; ამან კოლმეურნე ქალები საკოლმეურნეო შრომით კიდევ უფრო დააინტერესა. მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ ნუცა, დარო, თამარ, სონა, ლიზა მძინარაშვილები და მარგარიტა მაისურაძე.

სოსიაშვილის ინიციატივით მეორე ბრიგადამ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება გააფორმა მესამე ბრიგადასთან. მეორე ბრიგადა ახლა წარმატებით იბრძვის ერთ ჰექტარზე საშუალოდ 17 ცენტნერი სიმინდისა და 300 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღებისათვის. სოსიაშვილი სისტემატურად ესაუბრება კოლმეურნეებს არა მარტო ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო საკითხებზე, რომელსაც ისინი დიდი ინტერესით ისმენენ, არამედ მოუთხრობს აგრეთვე მეზობელი კოლმეურნეობების წარმატებებზე. ამისათვის ის უნარიანად იყენებს რაიონულ გაზეთ „სტალინელში“ შემოღებულ „საპატიო დაფას“. მიმზიდველი იყო აგიტატორის საუბარი „ტირიფონჰესის“ შესახებ, რომლის მშენებლობის დაწყების მასალები რაიონულმა გაზეთმა გამოაქვეყნა.

კარგად მუშაობს ამავე კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში აგიტატორი გ. ვანიძე. მისი ინიციატივით, ბრიგადაში საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით გამოდის საველე კედლის გაზეთი „ბრიგადირი“ (გამოიცა 4 ნომერი).

მაგრამ ყველგან ასე არ მუშაობენ აგიტატორები. კარალეთის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში გამოყოფილი აგიტატორები დ. კულუმბეგაშვილი, ბ. ადუაშვილი, გ. ბაზანდარაშვილი შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწევიან საგიტაციო მუშაობას. სრულებით არ მუშაობენ გარეჯვრების კოლმეურნეთა შორის აგიტატორები: ვ. ოსეფაშვილი, ა. დათაშვილი და ა. გულიშვილი. რაიონის ბევრი აგიტატორის მუშაობა განყენებულ ხასიათს ატარებს. ისინი არ იცნობენ იმ კოლმეურნეობისა და ბრიგადის საბრძოლო გეგმებს, სადაც აგიტაციას ეწევიან, თავის საგიტაციო საუბრებს არ უკავშირებენ კოლმეურნეობაში, ბრიგადაში პრაქტიკულად გადასაჭრელ საკითხებს (კარალეთში — აგიტატორი ე. თედლიაშვილი, ტყვიავში — აგიტატორი ტ. ძამელაშვილი, თირქვისში — აგიტატორი თ. ჯობინაშვილი და სხვები).

აგიტატორების მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი სათანადო ზომებს იღებს. წელს რაიკომის ბიურომ ორჯერ განიხილა აგიტკოლექტივების მუშაობის საკითხები და დასახა სათანადო ღონისძიებები. საჭიროა საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციები ყოველდღიურად ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკურ აგიტაციას.

ს. ჟურაშვილი

კომუნისტები საკოლმეურნეო სოფლის კულტურისათვის ბრძოლაში

კინჩხელ კომუნისტებს კრება ჰქონდათ. კრებაზე სიტყვას ამბობდა პარტიის წევრი ავერიონ ქაროსანიძე.

— ყველა ჩვენგანი ყოფილა თბილისში, — ამბობდა ის. — ჩვენი კოლმეურნეებიც დადიან თბილისში. ისინი იცნობენ იქაურ ცხოვრებას. მოსწონთ დედაქალაქის სწორი, განიერი და ლამაზი ქუჩები. უყვართ ელექტრონის სინათლე, დღესავით რომ ანათებს დიდებულ ქალაქს. ჩვენს სოფელშიც შეიძლება გვქონდეს ელექტრონის სინათლე. ამისათვის პირველ რიგში უნდა ვაიძულოთ მდინარე ოკაცე ემსახუროს კოლმეურნეებს!

პარტიულმა კრებამ მოიწონა აზრი ავერიონის. საკითხი სოფლის საზოგადო კრებაზე გადაიტანეს. კომუნისტებმა გაუადვილეს კოლმეურნეებს მოეკიდათ ხელი ამ საქმისათვის. კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: ოკაცჰესს ჩვენ საკუთარი საშუალებებით ავაგებთო. მშენებლობის უფროსად დაინიშნა ამ იდეის პიონერი ამხ. ავერიონ ქაროსანიძე.

რაიონი დაეხმარა სოფელს სპეციალისტებით და საჭირო მოწყობილობით. გაჩაღდა მუშაობა. პირველი ბარი კომუნისტებმა დაჰკრეს. კოლმეურნეები ერთსულოვნად გამოვიდნენ სამუშაოზე. მუშაობდნენ ხალისით, აღფრთოვანებით. კომუნისტები საკუთარი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ უპარტიოებს. პარტიის წევრები ჭიჭიკო კუხალაშვილი (პარტორგანიზაციის მდივანი), გარსევან ხურცილავა და ამბერკი მამარდაშვილი დილიდან საღამომდე ნაყოფიერად მუშაობდნენ.

ასობით კოლმეურნესთან ერთად ელექტროსადგურისათვის თავდადებით იბრძოდა მოხუცი პავლე გედენიძეც. კომუნისტების მაგალითზე პავლე ხშირად ორ ნორმას თავისუფლად აკეთებდა.

გაიარა მცირე დრომ, და სანუკვარმა ოცნებამ ხორცი შეისხა. კოლმეურნეებმა შეასრულეს 0,4 მილიონ მანეთად ღირებული სამუშაო, ოკაცეზე აიგო 150 კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური — „ოკაცჰესი“.

...და 600 კოლმეურნის ბინებში ერთდროულად აციმციმდა ილიჩის ელნათურები.

სასოფლო საბჭოს ცენტრში გზა არ ვარგოდა. წვიმიანში აქ ისეთი ტალახი დგებოდა, რომ ადამიანს გავლა უჭირდა. კომუნისტებმა იმსჯელეს ამაზე და ამ ნაკლსაც ბოლო მოუღეს. კოლმეურნეებმა კომუნისტების თაოსნობით გაამშვენიერეს სასოფლო საბჭოს ცენტრი და სკოლის ეზო. ამასთან ერთად კინჩხიდან გორდამდე 6 კილომეტრზე საუცხოო საავტომობილო გზა გაიყვანეს. სოფელი რაიონის ცენტრს საავტომობილო გზით დაუკავშირდა.

სოფელ კინჩხას ძლიერ აწუხებდა სასმელი წყლის სიშორე.

— ვის უნდა ველოდოთ? ჩვენ თვითონ გამოვიყვანოთ მთიდან წყალი, — სთქვეს კომუნისტებმა კრებაზე.

ეს საქმეც წარმატებით შესრულდა.

ლულუკუნის მთის პიტალო კლდიდან სასმელი წყალი გამოიყვანეს. კომუნისტები პირველ რიგებში მუშაობდნენ წყალსადენისათვის. ახლა სოფელს მშვენიერი სასმელი წყალი აქვს. სკოლის გამწვანებულ ეზოში ვეებერთელა აუზიდან შადრევანი ამოჩუხჩუხებს.

გასული წლის სექტემბერში კინჩხაში საშუალო სკოლა გაიხსნა. სკოლის ეზოში მშვენიერ პოსტამენტზე დიდი ლენინის და სტალინის ბიუსტები დადგეს. ეს ორი ღირსშესანიშნავი მოვლენა კინჩხელებმა ზეიმით აღნიშნეს. ზეიმზე საკოლმეურნეო კლუბში ახალი სასულე ორკესტრი დამატკბობელ ჰანგებს აფრქვევდა.

კინჩხელებს უკვე თავიანთი სასულე ორკესტრი ჰქონდათ.

სოფელ კინჩხის ტერიტორიული პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რამდენიმე დღის წინ, კომუნისტებმა აღნიშნეს სოფლის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ეს ცვლილებანი და დასახეს ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის.

ტ. ჩიქოვანი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ილია ანდრიას-ძე **კურუმლი**, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო საქ. კ. პ. (ბ) წევრობიდან კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის, აღდგენილია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით.

○

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

ნიკოლოზ სიმონის-ძე **მანჯგალაძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1940 წლიდან, პარტბილეთი № 3725367, როგორც მსჯავრდადებული საკოლმეურნეო სახსრების გაფლანგვისათვის; გიორგი ზაქარიას-ძე **შულლიაშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1547791, როგორც მსჯავრდადებული სისხლის სამართლის დანაშაულობათათვის; ივანე ზაქარიას-ძე **ტალიაშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1683133, როგორც მსჯავრდადებული სიყალბის ჩადენისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

ალასი სიმონის-ძე **სოგომონიანი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 1543821 — როგორც მსჯავრდადებული უყაირათობისა და საკოლმეურნეო პირუტყვის განიავებისათვის; იოსებ ლეონის-ძე **ჭყონიძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2154248 — საკანდიდატო ბარათის დაკარგვისა და როგორც მსჯავრდადებული თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის.

რკინიგზელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მოცეკვავე ქალთა ჯგუფი.
ფოტო გ. გინზბურგისა.

რკინიგზელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

საუბარი სტალინური პრემიის ლაურეატ ი. ო. დუნაევსკისთან

თბილისში გასტროლებზე ჩამოვიდა რკინიგზელთა სიმღერისა და ცეკვის ცენტრალური ანსამბლი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირიჟორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა კომპოზიტორმა ი. ო. დუნაევსკიმ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

კომპოზიტორი ი. დუნაევსკი

რკინიგზელთა სიმღერისა და ცეკვის ცენტრალური ანსამბლი დაარსდა 1936 წელს გზათა სახალხო კომისრის ლ. მ. კაგანოვიჩის ინიციატივით. იგი წარმოიშვა რკინიგზელთა მხატვრული თვითმოქმედების ბაზაზე. თვითმოქმედი წრე დიდი პედაგოგიური და მხატვრულ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად გაიზარდა, მას მიემატა პროფესიონალი მომღერლები, მოცეკვავენი და შესდგა დიდი პროფესიული ანსამბლი.

ამ ხუთი წლის განმავლობაში ანსამბლმა რთული შემოქმედებითი გზა განვლო. იგი სისტემატურად ემსახურება რკინიგზელთა მრავალმილიონიან არმიას კვალიფიციური კონცერტების გამართვით.

თბილისში ანსამბლმა შეასრულა ახალი პროგრამა, რომელშიაც შედის: სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები, კლასიკოსების და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

ჩვენი ანსამბლის კოლექტივი მოხარულია, რომ ეწვია მზიური საქართველოს დედაქალაქს. ჩვენ ყველანი აღფრთოვანებული ვართ თბილისის სილამაზით და მეგობრული, გულთბილი შეხვედრით. პირადად მე აღფრთოვანებული ვარ თბილისით, რომელიც პირველად ახლა ვნახე, თუმცა ქართული ხელოვნების ბევრ მოღვაწეს კარგად ვიცნობ და მეგობრული დამოკიდებულებაც მაქვს მათთან.

გთხოვთ გადასცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით თბილისის საბჭოთა საზოგადოებრიობას ჩვენი უდიდესი მადლობა გულთბილი მიღებისათვის. პირველი შეძლებისთანავე ჩვენი ანსამბლი კვლავ ეწვევა საბჭოთა საქართველოს, რომელიც ასე სახელგანთქმულია აყვავებული ხელოვნებით.

ი. დუნაევსკის ხელმძღვანელობით არსებულ რკინიგზელთა ანსამბლის მეორე კონცერტი

კვირას, 8 ივნისს, ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ცენტრალური სახლის საზაფხულო პარკში გაიმართა სტალინური პრემიის ლაურეატის, ორდენოსანი კომპოზიტორის ი. დუნაევსკის ხელმძღვანელობით არსებული რკინიგზელთა ანსამბლის მეორე კონცერტი.

კონცერტი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო იყო. დიდი ოსტატობითა და მაღალი მხატვრული გემოვნებით შეასრულა გუნდმა „სიმღერა სტალინზე“, „ჩვენი გზები ფოლადისაა“, „მარიანა“, „ბუკურია“ (მოლდავური სიმღერები) და სხვ. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება გამოიწვია მოლდავურმა, რუსულმა და უკრაინულმა ხალხურმა ცეკვებმა, „ორი ბავშვის ჭიდაობამ“, რომელსაც დიდი ოსტატობით ასრულებს ანსამბლის ერთერთი მონაწილე, და მხატვრული კითხვის ოსტატის ს. ბალაშოვის გამოსვლამ.

ანსამბლის ხელმძღვანელს, ცალკეულ ნომრების შემსრულებლებს და გუნდს მაყურებლები ტაშითა და ოვაციებით შეხვდნენ.

„პატარა კაცი“ ინგლისურ ენაზე

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენათა ფაკულტეტის ინგლისური სექციის მე-4 კურსის სტუდენტებმა ინგლისურ ენაზე მოამზადეს ჰოლსფორტის პიესა „პატარა კაცი“. პიესას სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ყუშიტაშვილი. პრემიერა დაიდგმება 10 ივნისს სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში.

ამავე საღამოზე გერმანული და ფრანგული სექციების სტუდენტები უცხო ენებზე დასდგამენ პატარა სცენებს და წაიკითხავენ ლექსებს.

ვ. პ. ბაგრატიონი

უშიშარი სარდალი*

1940 წელს შესრულდა 175 წელი პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის დაბადების დღიდან. ხოლო სამი წლის წინათ 125 წელი გავიდა ბოროდინოს ბრძოლიდან, რომელშიც უშიშარი მხედართმთავარი უმკლავდებოდა საფრანგეთის არმიის იერიშებს და სასიკვდილოდ დაიჭრა. ჩვენმა ქვეყანამ ღირსეულად აღნიშნა შენგრაბენის, ბოროდინოს და მრავალი სხვა ბრძოლის გმირის, სუვოროვის მოწაფისა და კუტუზოვის მეგობრის, რუს ჯარისკაცთა საყვარელი წინამძღოლის ცხოვრების ეს ორი მოვლენა.

ჩვენმა მზრუნველმა მთავრობამ არც მე დამივიწყა, სამოცდაათი წლის მოხუცი ქალი, ბაგრატიონის უკანასკნელი ცოცხალი შთამომავალი, და პერსონალური პენსია დამინიშნა. როდესაც ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქციამ წინადადება მომცა დამეწერა ნარკვევი ჩემს დიდ წინაპარზე, სიხარულით მოვკიდე კალამს ხელი, რათა გავუზიარო მკითხველს ის, რაც ვიცი მამაჩემის ნაამბობით „პაპა პეტრეზე“ და რაც წამიკითხავს ბაგრატიონის წერილებში და მის შესახებ დაწერილ ნაშრომებში.

შორეულ ბავშვობაში ჩვენი საყვარელი თამაშობა იყო „რვაას თორმეტი წლის ომის“ თამაში. ჩვენ ვამაყობდით „1812 წლის ბაგრატიონით“ და ვიზრდებოდით მასზე ნაამბობის შთაბეჭდილებით. ჩემი ძმები რიგრიგობით წარმოადგენდნენ ხოლმე ბაგრატიონს, ჩემს დას კი თუმცა არ შეეძლო ამ როლის თამაში, მაგრამ მაინც ყოველთვის ბიჭების მხარეზე იყო. როდესაც ერთხელ, თამაშის დროს მე, ყველაზე უმცროსმა და გაუბედავმა, ტირილი დავიწყე, დამ მომაძახა: „არ გაბედო! არ გაბედო ტირილი. პაპა დაჭრილიც კი განაგრძობდა სარდლობას!“

დას შურდა ძმების ბედი, რომლებიც კადეტთა კორპუსში შევიდნენ, და სწუხდა, რომ მას არასოდეს არ ექნებოდა ისეთი ორდენები, როგორიც პაპა ბაგრატიონს ჰქონდა.

მაგრამ აი გავიდა წლები, შემდეგ ათეული წლებიც. ჩემი და, ელისაბედ პეტრეს-ასული, რომელიც ერთი წლის წინათ გარდაიცვალა, მონაწილეობას იღებდა, როგორც მოწყალების და, პირველ იმპერიალისტურ ომში და ყველა ხარისხის გიორგის მედლები მიიღო.

ჩემმა ძმებმა მთელი სიცოცხლე ჯარში იმსახურეს. უკანასკნელმა მათგანმა, დიმიტრი პეტრეს-ძემ, მთელი თავისი ძალღონე რუსეთის ცხენოსან ჯარს შესწირა. იგი წითელ არმიაში მსახურებდა ცხენოსანთა სკოლის უფროსად და ამ პოსტზე გარდაიცვალა.

ჩემით მთავრდება ბაგრატიონის გვარი, და მე მინდა, რომ ჩვენი სამშობლოს რაც შეიძლება მეტი ადამიანები იცნობდნენ 1812 წლის ომის გმირის პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის ცხოვრებას.

○

პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი საქართველოს მეფეების — ბაგრატიდების შთამომავალი იყო. მისი მშობლები გადასახლდნენ ყიზლარში, სადაც 1765 წელს მათ შეეძინა ვაჟი პეტრე. მგზნებარე და გაბედული, იგი ახალგაზრდობიდანავე მიისწრაფოდა სამხედრო სამსახურისაკენ, 1782 წელს მან დასტოვა ყიზლარი და წავიდა პეტერბურგში, სადაც ცხოვრობდა მამიდა მისი კნეინა გოლიცინა. გოლიცინამ რეკომენდაცია მისცა ჭაბუკს თავად პოტიომკინთან, და ბაგრატიონი სერჟანტად დანიშნეს კავკასიის მუშკეტერთა მე-2 პოლკში.

ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდა სერჟანტი უკვე მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში. კავკასიაში მას ბრძოლა მოუხდა ჩაჩნების წინააღმდეგ, რომლებთანაც მის მშობლებს გულითადი მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. და აი, რუსებისათვის მარცხით დამთავრებულ ერთ ბრძოლაში ბაგრატიონი კინაღამ დაიღუპა. მთელი მისი რაზმი განადგურებულ იქნა, ხოლო თვითონ იგი მძიმედ დაჭრილი მოჰყვა მთელ გორა ცხედრებ ქვეშ, სადაც იგი ჩაჩნებმა იპოვნეს. პატივს სცემდნენ რა ბაგრატიონის სიმამაცეს და ახსოვდათ რა მის მშობლებთან მეგობრობა, ჩაჩნებმა მოარჩინეს ტყვე და რუსეთის ჯარის ბანაკში მიიყვანეს იგი.

1788 წელს თურქების წინააღმდეგ ომში, ოჩაკოვის გარემოცვისა და აღების დროს, ბაგრატიონმა თავისი სიმამაცით სუვოროვის ყურადღება მიიპყრო. დიდმა მხედართმთავარმა დაიახლოვა ახალგაზრდა ოფიცერი. ისინი ერთად ომობდნენ პოლონელი კონფედერატების წინააღმდეგ; სიმამაცისათვის, რაც ბაგრატიონმა პრაგის იერიშის დროს გამოიჩინა, სუვოროვმა მას მადლობა გამოუცხადა.



1799 წელს ომი გადავიდა იტალიაში და შვეიცარიის ალპებში, და იქ რუსმა ჯარისკაცებმა სუვოროვისა და ბაგრატიონის სარდლობით უკვდავი სახელი მოიხვეჭეს. სძლევდა რა იტალიის მცხუნვარე მზის ქვეშ და გაყინულ ალპებზე ლაშქრობის სიძნელეებს, ბაგრატიონი ყოველთვის მიუძღოდა რუსეთის არმიის ავანგარდს, მას პირველს მიჰქონდა იერიში მტერზე. მან პირველმა დაიწყო ბრძოლა მდინარე ადაზე, სადაც სუვოროვმა დაამარცხა ფრანგი გენერალი შერერი, პირველმა ჩასცა ლახვარი საფრანგეთის მარშალ მაკდონალდს მდინარე ტრებიაზე, თვითონ გაუძღვა იერიშზე ჯარისკაცებს ქალაქ ნოვის წინააღმდეგ, სადაც თავს იცავდა ჟუბერის არმია. ყველგან გამარჯვებული გამოდიოდა სუვოროვის არმია, ყველგან მას ბაგრატიონი უკაფავდა გზას.

ასე გაიარეს მათ მთელი იტალია და შემდეგ შეასრულეს სახელგანთქმული გადასვლა ალპებზე შვეიცარიაში, რომ ეხსნათ რუსეთის და ავსტრიის ჯარები, რომლებიც ფრანგებთან იბრძოდნენ. სუვოროვს თავისი არმია ალპების მწვერვალებზე მიჰყავდა. ჯარების ავანგარდში მან კვლავ დააყენა თავისი საყვარელი მეომარი ბაგრატიონი.

ალპების ვიწრო ხეობებში ქარბუქი მძვინვარებდა; ყინვა და ქარი ჰყინავდა ჯარისკაცებს, მაგრამ სუვოროვსა და ბაგრატიონს სულ მაღლა და მაღლა მიჰყავდათ ისინი და, ბოლოს, მიაღწიეს სენ-გოტარდის ქედს, მიაღწიეს ეშმაკის ხიდსაც, რომელიც გადებული იყო საშინელ უფსკრულზე. ამ მიუვალ პოზიციებზე მიელოდა მათ მტერი. თითქოს არ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც შესძლებდა ფრანგების უკუქცევას. მაგრამ აი, სუვოროვის ბრძანებით ბაგრატიონმა თავისი გრენადერებით შემოუარა ფრანგებს და უკანიდან დაესხა მათ თავს. ამავე დროს იერიშზე გადავიდა სუვოროვიც. ფრანგები გაიქცნენ. რუსეთის არმია წინ წავიდა, კვლავ გადალახა მრავალი საფრთხე და მტრის ფანდები, და სახელმოხვეჭილი დაბრუნდა რუსეთში.

○

ახალგაზრდა გმირს ყველგან დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ, ის კი მიუხედავად თავისი დამსახურებისა, გენერალ-მაიორის ხარისხისა და დიდი შთამომავლობისა, მეტად თავდაბალი და მორცხვიც კი იყო.

როდესაც ბაგრატიონი საზოგადოებაში მოხვდებოდა, იგი ცდილობდა ქალებისაგან შორს ყოფილიყო. ერთხელ მეფის კარზე გამართულ ბალზე ბაგრატიონი შეხვდა გრაფის-ასულ ელისაბედ პავლეს-ასულ სკავრონსკაიას, პეტერბურგში ყველაზე სახელგანთქმულ ლამაზ გასათხოვარ ქალს.

როდესაც ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილმა კოპწია ქალმა შეამჩნია, თუ რა ყურადღებით ეპყრობოდნენ ყველანი ბაგრატიონს, მან გადასწყვიტა გასცნობოდა მას, რაც თავის მეგობრებს განუცხადა. იგი გააფრთხილეს, თავადი ბაგრატიონი ქალებს გაურბისო. მიუხედავად ამისა, გრაფის-ასულმა ერთერთ თავის კავალერს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ წარმადგინე ბაგრატიონთანო. კავალერმა გრაფის-ასულის სურვილი შეასრულა. შემკრთალმა ბაგრატიონმა გადასწყვიტა ბალიდან წასვლა. ბაგრატიონის უყურადღებობითა და მეგობარი ქალებისა და თაყვანისმცემლების ზეიმით შეშფოთებულმა, განებივრებულმა ლამაზმა ქალმა დაივიწყა საზოგადოებაში მიღებული წესები და თვითონ გაემართა გენერლისაკენ, რომელიც წასვლას აპირებდა. მან ბაგრატიონს უკანდასახევი გზა გადაუჭრა და მომხიბლავი ხმით უთხრა, მამაც გენერალს სუსტი ქალის წინაშე უკანდახევა არ შეშვენისო. ასე მოხდა მათი ერთმანეთთან გაცნობა. მგზნებარე გმირი მალე უიმედო სიყვარულმა შეიპყრო, და მაშინ გრაფის-ასულმა სკავრონსკაიამ დაიცინა ბაგრატიონის გრძნობას და აგრძნობინა, რომ არასოდეს მისი ცოლი არ გახდებოდა.

ბაგრატიონი მოღუშული და სევდიანი დადიოდა, და ეს შეამჩნია პავლე პირველმა.

— რა დაემართა თავად ბაგრატიონს?—ჰკითხა მეფემ თავის ადიუტანტს.

— შეყვარებულია, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა ადიუტანტმა.

— ვინ უყვარს?

— გრაფის-ასული სკავრონსკაია.

— მერე ეგრე მოწყენილი რატომ არის? — მოითხოვდა ახსნა-განმარტებას პავლე პირველი.

— იგი შეყვარებულია, მაგრამ ქალის მხრივ ეს მხოლოდ კოპწიაობაა, — მიუგეს მას.

— არა, ეგრე არ იქნება! — გაჯავრდა მეფე და უბრძანა ადიუტანტს: „სტატს-დამა სკავრონსკაია (ელისაბედის დედა. — **რედ.**) ხვალ თავისი ქალიშვილით ჩემთან სასახლეში გამოცხადდეს და გრაფის-ასული ჯვარსაწერ ტანსაცმელში იყოს გამოწყობილი. გენერალ-მაიორ ბაგრატიონს კი უბრძანეთ ხვალ საგუშაგოთა შეცვლის შემდეგ ჩემთან დარჩეს...“

მეორე დღეს სკავრონსკები, რომლებიც ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა საჭირო იყო ეს მასკარადი, სასახლეში გამოცხადდნენ. პავლე პირველმა გამოუცხადა მათ, რომ ელისაბედ სკავრონსკაიას თხოულობს თავად ბაგრატიონისათვის და თვითონ იქნება მამობილი. ქორწილი დღესვე უნდა იქნესო. სკავრონსკები შეშფოთდნენ, მათ მიეშველა მღვდელი, რომელმაც მეფეს მოახსენა, ჯვარის დაწერა არ შეიძლება, იმიტომ, რომ დიდი მარხვა არ გასულაო. მაგრამ გაჯავრებულმა იმპერატორმა უპასუხა, ლოდინი არ შეიძლება, ბაგრატიონი ლაშქრობაში უნდა წავიდესო. და მღვდელმა, რომელსაც, ისევე როგორც მთელ პეტერბურგს, ყველაზე მეტად მეფის რისხვისა ეშინოდა, ჯვარი გადასწერა ბაგრატიონს და გრაფის-ასულ სკავრონსკაიას.

პავლემ ბაგრატიონს აურჩია ულამაზესი ცოლი, ვეებერთელა ქონების პატრონი, მაგრამ მათ ოჯახური ბედნიერება არ ჰქონიათ. მალე კნეინა ბაგრატიონი წავიდა ვენაში, სადაც შეჰქმნა სალონი. სალონის ცენტრალური ფიგურა იყო კნეინას თაყვანისმცემელი, დიპლომატი მეტერნიხი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ფანდებს აწყობდა, ბაგრატიონს კი თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლების განმავლობაში არ დაუტოვებია ბრძოლის ველი ომებში, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა.[1]

1805 წელს ბაგრატიონი სარდლობდა რუსეთის იმ არმიის არიერგარდს, რომელიც კუტუზოვმა ავსტრიაში წაიყვანა, რათა ავსტრიელებთან ერთად შებრძოლებოდა ნაპოლეონს. მაგრამ რუსების მისვლამდე ავსტრიელები დამარცხდნენ და ტყვედ დანებდნენ ფრანგებს. კუტუზოვი იძულებული გახდა უკან დაეხია.

აი მაშინ, სოფელ შენგრაბენთან, კვლავ ისახელა თავი ბაგრატიონმა. ექვსი ათასი ჯარისკაცით იგი აკავებდა ოცდაათი ათასი ფრანგის იერიშებს და უმკლავდებოდა ნაპოლეონის მარშლების ყოველი მხრიდან მოწოლას. ღამით ბაგრატიონმა გაარღვია მტრის ხშირი კოლონები და, შეასრულა რა საბრძოლო დავალება, გაემართა, რათა შეერთებოდა კუტუზოვს. ბაგრატიონმა ტყვედ წამოიყვანა 50 ფრანგი ჯარისკაცი, სამი ოფიცერი, ხელთ იგდო მათი დროშა, გამოიყვანა ყველა თავისი დაჭრილი, არ დაუტოვებია არცერთი ზარბაზანი.

— არიერგარდი იმისათვის ვართ, — ასწავლიდა ჯარისკაცებს ბაგრატიონი, — რომ მტერს არაფერი დავუტოვოთ.

კუტუზოვმა იშუამდგომლა, რომ ბაგრატიონი დაეჯილდოებინათ გიორგის მე-2 კლასის ორდენით და გენერალ-ლეიტენანტის ხარისხით „სხვადასხვა საქმეებში დამსახურებისათვის, ამ უკანდახევის დროს ყოველ ნაბიჯზე თავის გამოჩენისათვის და სოფელ შენგრაბენთან ბრძოლისათვის“.

შენგრაბენის შემდეგ აუსტერლიცთან მომხდარ მძიმე ბრძოლაში მხოლოდ ბაგრატიონმა გამოიყვანა წარმატებით თავისი მებრძოლი კოლონა. მთელ დღეს უმკლავდებოდა იგი უძლიერეს მტერს, ხოლო შემდეგ კვლავ იცავდა უკანდახეულ ჯარებს.

ლევ ტოლსტოიმ „ომსა და მშვიდობაში“ აგვიწერა, თუ რა პატივისცემით შეხვდნენ ბაგრატიონს მოსკოვში ამ გმირული საქმეების შემდეგ.

მაგრამ მშვიდობიანობამ დიდხანს არ გასტანა.

1806 წელს დაიწყო რუსეთის მეორე ომი საფრანგეთთან. ამჯერად პოლონეთისა და აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე. და კვლავ რუსეთის ჯარების ავანგარდში ბაგრატიონი მიდიოდა. მძიმე დრო იყო. იცვლებოდნენ მთავარსარდლები, ჯარისკაცებს არ ჰქონდათ პური და ტანისამოსი, ისინი იხოცებოდნენ არა მარტო ბრძოლებში, არამედ სიცივისა და ავადმყოფობისაგანაც, და მთელ ამ გაჭირვებას მათთან ერთად იზიარებდა მათი გენერალი, რომელსაც არსად და არასოდეს არ დაუტოვებია ისინი. ორ საშინელ ბრძოლაში შეეჯახნენ რუსები ფრანგებს ამ ომში. ჯერ პრეისიშ-ეილაუსთან, სადაც რუსებმა ნაპოლეონის ყველა იერიში მოიგერიეს. ამ ბრძოლაში ბაგრატიონი ყველაზე საშიშარ ადგილებზე ხელმძღვანელობდა ბრძოლას, ხოლო როდესაც დადგა კრიტიკული მომენტი, მან ხელში აიღო დროშა და წინ გაუძღვა რუსეთის არმიას. მეორე ბრძოლა, ფრიდლანდთან, ჩვენთვის სამწუხაროდ დამთავრდა. ჯარებს მაშინ ბენიგსენი ხელმძღვანელობდა. მან ისე უხეიროდ დააწყო თავისი არმია, რომ ნაპოლეონმა მაშინვე აღმოაჩინა მისი შეცდომა და დაუყოვნებლივ დასძრა თავისი ჯარები იერიშზე რუ-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

---

*) ვ. პ. ბაგრატიონის ეს წერილი დაბეჭდილია ჟურნალ „ოგონიოკის“ № 15-ში სათაურით „პაპაჩემი“.

[1] 1812 წელს ბაგრატიონის სიკვდილის შემდეგ სკავრონსკაია კვლავ ბრწყინავდა პარიზსა და ვენაში. თავისი ხნოვანების მიუხედავად მან მოხიბლა ახალგაზრდა ინგლისელი ლორდი ჰოვდენი და ცოლად გაჰყვა მას, თუმცა ბაგრატიონის გვარი დაიტოვა. გარდაიცვალა ნიცაში, ღრმად მოხუცებული.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საზღვაო კომისიის ღონისძიებანი

ნიუ-იორკი, 7 ივნისი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, მთავრობის საზღვაო კომისიამ განაახლა 1916 წელს მიღებული საგანგებო კანონის მოქმედება, რომელიც ფართო რწმუნებულებას აძლევს კომისიას ამერიკის სავაჭრო ფლოტისა და გემთმშენებლობის კონტროლის დარგში. ამ კანონით აკრძალულია კომისიის ნებადაურთველად ამერიკის გემების მიწერა უცხოეთის ნავსადგურებზე, აგრეთვე ამერიკის ყოველგვარი გემის, გემთსაშენის, მშრალი დოკის და გემთმშენებლობის სხვა საწარმოების მიყიდვა, მიქირავება ან გადაცემა იმ პირთათვის, რომელნიც ამერიკის მოქალაქენი არ არიან. კანონით აკრძალულია აგრეთვე კომისიის ნებადაურთველად ამერიკის შეერთებულ შტატებში გემების აგება უცხოელებისათვის გადასაცემად და დოკუმენტების მიცემა ამერიკის გემებისათვის, რომელნიც წინათ არასოდეს არ შესულან უცხოეთის ნავსადგურებში, სანამ ისინი რეგისტრაციას არ გაივლიან ამერიკის კანონების თანახმად.

ამაზე კიდევ უფრო ადრე კომისიამ განაახლა მეორე კანონის მოქმედება, რომლითაც ნებადართულია ამერიკელთა კუთვნილი და ამერიკისა და უცხოეთის ნავსადგურებზე მიწერილი გემების კონფისკაცია.

ამერიკის პრესა იუწყება, რომ, მთავრობის საზღვაო კომისიის მოთხოვნით, ამერიკის სანაოსნო კომპანიები დათანხმდნენ ინგლისის დასახმარებლად შექმნილ „სახომალდო ფონდს“ გადასცენ 35 გემი, რომლებიც მომსახურებას უწევენ ატლანტის სანაპიროს და მექსიკის ყურის სანაპიროს. ეს „ფონდი“ რუზველტის წინადადებით იქმნება. გეგმა ითვალისწინებს ინგლისისათვის 2 მილიონი ტონა საერთო წყალწყვის გემების გადაცემას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დღემდე კონფისკაცია უყო 1.250 ათას ტონა საერთო წყალწყვის გემებს, მათ შორის საკაბოტაჟო ნაოსნობის 50 გემს და 50 ტანკერს.

მთავრობის საზღვაო კომისიამ აგრეთვე გამოაცხადა, რომ მან შეიძინა 300 ათასი ტონა საერთო წყალწყვის 28 სავაჭრო გემი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საჭიროებისათვის. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ევროპის ომის დაწყებიდან ამერიკის შეერთებული შტატების არმიამ მიიღო 20 სავაჭრო გემი, ხოლო სამხედრო-საზღვაო ფლოტმა—50 გემი. ამ გემებს იყენებენ, როგორც სატრანსპორტო და დამხმარე გემებს.

1 აპრილისათვის ამერიკის სავაჭრო ფლოტი შესდგებოდა 7.051 ათასი ტონა საერთო წყალწყვის 1.192 გემისაგან, მაშინ როდესაც ერთი წლის წინათ შეერთებულ შტატების ფლოტში იყო 7.868 ათასი ტონა საერთო წყალწყვის 1.350 გემი. სავაჭრო ფლოტი იმის გამო შემცირდა, რომ გემების ნაწილი გადაეცა ინგლისს, აგრეთვე ამერიკის არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

ირლანდიის პროტესტი დუბლინის ბომბარდირების წინააღმდეგ

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ეირეს პრემიერ-მინისტრმა დე ვალერამ პარლამენტში განაცხადა, რომ დუბლინზე უკანასკნელი საჰაერო თავდასხმის დროს მოკლულია 27 და სერიოზულად დაჭრილია 45 კაცი. 25 სახლი დაინგრა, ხოლო 300 სახლი იმდენად დაზიანდა, რომ საცხოვრებლად აღარ ვარგა. დე ვალერამ დასძინა, რომ გერმანიის მთავრობას პროტესტი განუცხადეს.

ბერლინი, 7 ივნისი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ირლანდიის ბერლინელმა დესპანმა საპროტესტო ნოტა გადასცა გერმანიის მთავრობას დუბლინის ბომბარდირების გამო, რაც ამ რამდენიმე დღის წინათ მოხდა. როგორც ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, ირლანდიის დესპანს განუცხადეს, რომ ირლანდიის ტერიტორიაზე გერმანიის ავიაციის „შეგნებული თავდასხმის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია და რომ გულდასმით კვლევა-ძიება მიმდინარეობს, რათა გამოირკვეს ამ შემთხვევაში საზოგადოდ შესაძლებელი იყო თუ არა ბომბარდირება გერმანიის თვითმფრინავების მხრივ“. გერმანიის საინფორმაციო ბიურო დასძენს: „გერმანიის დედაქალაქის პოლიტიკურ წრეებში შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ყოველივე ეს ინგლისელთა პროვოკაციული მოქმედების შედეგს წარმოადგენს“.

დანიის მთავრობის ნოტა ისლანდიისადმი

კოპენჰაგენი, 8 ივნისი (საქდესი). დანიურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს დანიის მთავრობის ნოტა პასუხად ისლანდიის ალტინგის (პარლამენტის) ცნობისა დანია-ისლანდიის უნიის გაუქმების შესახებ. ნოტა გადაეცა ისლანდიის საქმეთა რწმუნებულს დანიაში კრაბეს.

ნოტაში გამოთქმულია მწუხარება იმის გამო, რომ ალტინგმა ახლა გამოიტანა ამგვარი გადაწყვეტილება, და აღნიშნულია, რომ დანიის მთავრობა მაინც იღებს ამ ცნობას როგორც ისლანდიის განზრახვას — ომის შემდეგ გამართოს მოლაპარაკება ამ საკითხზე, და თავის მხრივ აცხადებს, რომ მზად არის ასეთი მოლაპარაკებისათვის.

აფეთქება ქალაქ სმედერევოში

ბუდაპეშტი, 8 ივნისი (საქდესი). გაზეთი „ნემზეტი უიშაგი“ იუწყება, რომ სერბიის ქალაქ სმედერევოს ციხეში, ბელგრადის მახლობლად, აფეთქდა დენთისა და სხვა ფეთქებად ნივთიერებათა მარაგი. მოსპობილია ქალაქის დაახლოებით ორი-მესამედი. ათასობით მცხოვრები კატასტროფის მსხვერპლი გახდა. კატასტროფის მიზეზები ჯერჯერობით გამოურკვეველია.

გაფიცვა ინდოეთში

ქაბული, 7 ივნისი (საქდესი). როგორც გაზეთი „ბომბეი ქრონიკლი“ იუწყება, ინდორის (სამთავრო ცენტრალურ ინდოეთში) 20 ათასმა ფეიქარმა კვლავ გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა. მუშები მოითხოვენ, რომ მთავრობამ დაპირება შეასრულოს და პატიმრობიდან გაათავისუფლოს გაფიცვის 150 მონაწილე. გაფიცულებმა მეწარმეებსა და მთავრობას აცნობეს: თუ გაფიცულნი განთავისუფლებული არ იქნებიან, ჩვენ უფრო გადამწყვეტ ზომებს მივიღებთ ჩვენი მოთხოვნის შესასრულებლადო.

გაზეთი „ტრიბიუნი“ იუწყება, რომ 21 მაისს ლუდიანში (პენჯაბი) ტრიკოტაჟის ექვსი ფაბრიკის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს ტრიკოტაჟის საწარმოთა მუშების პროფკავშირის მდივნის შეურაცხყოფის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გაფიცულებმა ფაბრიკებთან პიკეტები დააყენეს. პოლიციამ 106 პიკეტელი დააპატიმრა. მუშებმა დაადგინეს მუშაობა არ დაიწყონ მანამდე, სანამ დაპატიმრებულებს არ გაათავისუფლებენ.

შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ პუნში გაფიცვას განაგრძობს 1.500 ფეიქარი. გაფიცულებმა ქვა დაუშინეს შტრაიკბრეხერებს, რომლებიც ცდილობდნენ მუშაობა დაეწყოთ. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

არგენტინის მთავრობის განცხადება

ნიუ-იორკი, 8 ივნისი (საქდესი). როგორც პრესა გადმოგვცემს, არგენტინის მთავრობამ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს ფერმერებისაგან შეისყიდოს 7 მილიონზე მეტი ტონა მიმდინარე წლის მოსავლის სიმინდი, რომელსაც საქონლის საკვებად და საწვავ მასალად გაჰყიდის თითო ტონას ერთ პეზოდ. უწინდელი ფასი 50 პეზოს შეადგენდა ტონაზე. ომის გამო ევროპის ბაზრების დაკარგვის შედეგად, არგენტინაში დიდძალი ჭარბი სიმინდი დაგროვდა, რის ექსპორტირებაც მას არ შეუძლია. ეს ჭარბი სიმინდი აპრილში 12 მილიონ ტონას შეადგენდა.

ურუგვაის პრეზიდენტის განცხადება

ნიუ-იორკი, 8 ივნისი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ურუგვაის პრეზიდენტმა ბალდომირმა განაცხადა, რომ ურუგვაი მზად არის „მეგობრულ ქვეყნებს“ ბაზები გადასცეს დასავლეთ ნახევარსფეროს თავდაცვისათვის ამერიკის კონტინენტის საწინააღმდეგო აგრესიის შემთხვევაში. ბალდომირმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ ურუგვაის პოზიცია „ამერიკის სოლიდარობის პრინციპებს“ ემყარება. ურუგვაი უერთდება ჰავანაში შემდგარ პანამერიკულ კონფერენციაზე ჩამოყალიბებულ დეკლარაციას, რომლის ძალითაც, თუ ერთერთი ამერიკული ქვეყანა არაამერიკული ქვეყნის წინააღმდეგ ომობს, სხვა ამერიკული სახელმწიფოები ამ ამერიკულ ქვეყანას მეომარ მხარედ არა სთვლიან.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახურვა პარიზში

ნიუ-იორკი, 8 ივნისი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ პარიზში დახურულია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო. როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ გერმანიამ მოითხოვა პარიზიდან ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური წარმომადგენლების გაწვევა.

უცხოეთის ქრონიკა

★ 6 ივნისს ღამით იაპონიას ტაიფუნმა გადაუარა, რის შედეგადაც წყალმა დაჰფარა 4.100 სახლი და გადაბრუნდა ექვსი გემი. დიდად დაზარალდა აგრეთვე ნათესები.

★ კანადაში გამოიცა მთავრობის განკარგულება, რომლის ძალით სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებს ფართო რწმუნებულება ეძლევათ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში გაფიცვასთან საბრძოლველად.

★ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ეგვიპტის ნავსადგურებში მოტორებით, მანქანებით, ქვანახშირითა და მედიკამენტებით დატვირთული ამერიკის გემები ჩავიდნენ.

★ ინგლისის სასურსათო მომარაგების სამინისტრომ კონტრაქტი დასდო კანადაში 120 მილიონი ბუშელი ხორბლის შესყიდვის შესახებ. ნაყიდი ხორბალი 1942 წლის მაისამდე უნდა იქნას მიტანილი ინგლისში.

★ 6 ივნისს დილით ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა მოახდინა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროს სიმაგრეების ორსაათიანი საინსპექციო შემოვლა.

ჯორჯ სტეფენსონი

(დაბადების 160 წლისთავის გამო)

როდესაც რკინიგზის გამომგონებელი ჯორჯ სტეფენსონი დაიბადა (1781 წ. 9 ივნისი), ინგლისში ყველა პირობა იყო სარკინიგზო მიმოსვლის მოსაწყობად. მე-17 და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ინგლისში, ისე სხვაგანაც გაყვანილი იყო სალიანდაგო გზები. ამ დროს ჯეიმს უატს უკვე გამოგონებული ჰქონდა ორთქლის ძრავი. არსებულ ლიანდაგებზე ცხენით ეზიდებოდნენ ქვანახშირს. ამრიგად, არსებობდა ლიანდაგი, თავისებური ვაგონებიც, არსებობდა ორთქლის ქვაბი, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო რკინიგზა. ქვანახშირის მრეწველობის დიდი განვითარება და ვაჭრობის ზრდა მოითხოვდა იაფ და ჩქარ სამიმოსვლო საშუალებებს. რკინიგზის გამოგონება და რკინიგზის პირველი მშენებლობა ისტორიამ წილად არგუნა შესანიშნავ ადამიანს, წარმოშობით ინგლისელს, მაღაროს მუშას, გენიალურ მექანიკოსს ჯორჯ სტეფენსონს.



ჯორჯ სტეფენსონი დაიბადა ნორთუმბერლენდის ქვანახშირის რაიონში, ცეცხლფარეშის ოჯახში. ჯორჯის მშობლები ღარიბები იყვნენ და ჰყავდათ ექვსი შვილი. რვა წლამდე ბავშვი უზრუნველად ატარებდა დროს, ხოლო რვა წლისა რომ შესრულდა, ჯორჯი მამამ მეძროხედ მიაბარა ერთ მემამულეს.

ოცი წლის სტეფენსონი დიდი პრაქტიკული ცოდნის პატრონი იყო და მცოდნე ხელოსნის რეპუტაციით სარგებლობდა. მას არ ჰქონდა მეცნიერული ცოდნა, მაგრამ ამ ნაკლს ავსებდა მისი არაჩვეულებრივი ნიჭი, ცნობისმოყვარეობა, მტკიცე ნებისყოფა და მახვილი გონება.

ჯორჯ სტეფენსონს ბევრი გამოგონება აქვს, მაგრამ ყველაზე შესანიშნავი მისი გამოგონებაა ორთქლმავალი. ორთქლმავლის გამოგონების ცდა სტეფენსონამდეც იყო, მაგრამ ნამდვილი ორთქლმავალი, რომლის პრინციპის მიხედვით მუშაობენ თანამედროვე უძლავრესი ორთქლმავლები, პირველად ჯორჯ სტეფენსონმა გამოიგონა 1814 წელს.

რაკი ორთქლმავალი გამოგონილი იყო, რკინიგზაც გაიყვანეს. მართალია, მაშინდელი ინგლისის თითქმის მთელი საზოგადოებრივობა რკინიგზისადმი მტრულად იყო განწყობილი და სტეფენსონს დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა, მაგრამ 1822 წელს მან მაინც მოახერხა პირველი რკინიგზის მშენებლობის დაწყება.

1825 წლის 27 სექტემბერს დიდი ზეიმით გაიხსნა სტოკტონ-დარლინგტონის რკინიგზა, რომლის სიგრძე უდრიდა 35,2 კილომეტრს. რკინიგზის საზეიმო გახსნას უამრავი ხალხი მოაწყდა. ორთქლმავალი საათში 30 კილომეტრის სისწრაფეს ანვითარებდა. ორთქლმავალს წინ მიუძღოდა ცხენოსანი ალამით ხელში. ალამს ამშვენებდა შემდეგი წარწერა: „კერძო გამბედაობით მიაღწევ საზოგადოებრივ სარგებლობას“.

რკინიგზის გავლენა იმდენად დიდი იყო ქვეყნის ეკონომიკაზე, რომ გაჩნდნენ ახალი ქალაქები, გაჩნდა გემსაშენები, რკინიგზის ქარხნები, სავაჭრო კანტორები, ბანკები...

გადაწყდა მეორე რკინიგზის გაყვანა მანჩესტერ-ლივერპულს შორის. ეს გზა, რომელიც აგრეთვე სტეფენსონმა ააშენა, გაიხსნა 1830 წლის 20 სექტემბერს. პირველი მატარებელი მიჰყავდა თვით სტეფენსონს, მისივე სისტემის ორთქლმავლით „ისრით“, რომელიც 27,2 კილომეტრი საშუალო სიჩქარით მიდიოდა, ხოლო ზოგიერთ ადგილას 43,2 კილომეტრ სიჩქარესაც ანვითარებდა.

დიდი ტანჯვა გადაიტანა სტეფენსონმა მანჩესტერ-ლივერპულს შორის რკინიგზის გაყვანაზე. გაავრცელეს ხმა, სალიანდაგო გზა ყველაფერს გაანადგურებს და ხალხს გაალარიბებსო. განსაკუთრებით დიდი უბედურების მომტანი იქნება ორთქლმავალი ადგილობრივი მცხოვრებლებისთვისო.

ლორდები ხმამაღლა აცხადებდნენ: „ჩვენს სამფლობელოში ყაჩაღების ბანდას უფრო შევურიგდებით, ვიდრე მიწისმზომელებს დავუშვებთ გზის ასაგეგმავადო“. ერთმა ლორდმა განკარგულებაც კი გასცა თოფი ესროლათ, თუ ვინმე გაბედავდა და გამოჩნდებოდა მისი მამულის ტერიტორიაზე. ასეთ პირობებში უხდებოდა ჯორჯ სტეფენსონს მუშაობა, მაგრამ იგი არაფერს არ უშინდებოდა და დასახულ მიზანს დიდი ბრძოლის შედეგად წარმატებით აღწევდა.

1848 წლის 12 აგვისტოს სტეფენსონი გარდაიცვალა. ის დიდი პატივით დაასაფლავეს ჩესტერფილდის ეკლესიის გალავანში.

ას წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი რკინიგზა გაიხსნა. ახლა რკინიგზებით დაქსელილია მთელი დედამიწა. საბჭოთა კავშირმა დიდ წარმატებებს მიაღწია ამ დარგშიც.

მუშათა კლასი ერთადერთი მემკვიდრეა წარსული თაობების მიერ შექმნილი სულიერი და მატერიალური კულტურისა. ჩვენი ქვეყნის ადამიანებმა, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ააშენეს სოციალიზმი, ძლევამოსილად მიისწრაფვიან კომუნიზმისაკენ. მათ თავიანთი შრომით შექმნეს მძლავრი და ზესწრაფი ორთქლმავლები საბჭოთა ორთქლმავალმშენებლობის სიამაყე. საბჭოთა ხალხი პატივისცემით იგონებს და კვლავაც მოიგონებს ჯორჯ სტეფენსონს, როგორც უდიდეს რევოლუციონერს და ნოვატორს ტექნიკაში.

კლ. თევზაძე

ფეხბურთი

თბილისის „ოდკას“ გამარჯვება

8 ივნისს მოსკოვში დამთავრდა წითელი არმიის 6 სახლის (მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, მინსკისა და როსტოვის) ფეხბურთელთა შეჯიბრება, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა თბილისის წითელი არმიის საოლქო სახლის („ოდკა“) გუნდმა. თბილისელებმა მოიგეს ყველა მატჩი და დამსახურებულად მოიპოვეს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის თასი.

კალენდარული მატჩების შედეგები

8 ივნისს ჩატარდა ორი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ოდესის „სპარტაკმა“ მოუგო (4:3) ლენინგრადის „ზენიტს“. კიევისა და ლენინგრადის „დინამოს“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ამჟამად კიევისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

10 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში (ლენინის, 41) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ქართული სექტორის I კურსის მორიგი მეცადინეობა.

ლექტორები: პროფ. ბაქრაძე და დოც. ბიწაძე.

ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ.წ. სეზონი
10 ივნისს
მე-13 აბ. მე-8 წარმ.
რუი ბლაზ
11 ივნისს
მარგარიტა გოტიე
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

რკინიგზელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. **სურათზე:** ცეკვა უკრაინულ სიუიტიდან.
ფოტო ვ. განზბურგისა.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაკთა დაჯილდოება

სსრკ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით შეაჯამა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა; თავდაცვის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ნიშნით „თავდაცვითი მუშაობისათვის“ დაჯილდოებულია 9 მუშაკი. სსრკ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოებულია 16 მუშაკი. ნიშნით „თავდაცვითი მუშაობისათვის“ დაჯილდოებული არიან თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ანთელიძე, საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს სამხედრო სწავლების განყოფილების უფროსი—ამხ. პ. გორგასიძე და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი — ამხ. გ. პაპოიანი, თბილისის აეროკლუბის უფროსი—ამხ. კ. ფრუიძე და სხვ.

სიგელით დაჯილდოებულთა შორის არიან: საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის განყოფილების უფროსი—ამხ. მ. გოგრიჭიანი, თავდაცვა-ავიაქიმის აფხაზეთის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე—ამხ. მ. საინკო, ქუთაისის აეროკლუბის ინსტრუქტორი, მფრინავი—ამხ. ნ. მეტრეველი და სხვ. (საქდესი).

ლექციები

10 ივნისს, საღამოს 8 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქ. № 132) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე, თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა“**.

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიონის პარტკაბინეტში, პლეხანოვის სახელობის კლუბში და რაიონის საწარმო-დაწესებულებებში.

11 ივნისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, № 21) საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება ატარებს მოსკოვის სალექციო ბიუროს ლექტორის, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. **გ. ი. გოიანის** ლექციას. თემა: **„ხელოვნება და სინამდვილე“** (სოციალისტური რეალიზმის შესახებ).

ბილეთები იყიდება სალაროში დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

რადიოგადაცემა დღეს

17.45 — გადაცემა უფროს მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე; 19.00 — კონცერტი; 19.30 — უკანასკნელი ცნობები; 19.58 — დროის შემოწმება; 20.00—უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან; 20.30 — კონცერტი სიმფონიური ორკესტრის შესრულება; 21.15 — საუბარი მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად (კარლ მარქსის ნაშრომი: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“); 22.00—უკანასკნელი ცნობები; 22.06 — კომპოზიტორ რუბინშტეინის ოპერის „დემონის“ მონტაჟი სსრ კავშირის დიდი თეატრის მომღერალთა შესრულებით; 23.40 — კონცერტი; 00.30 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვიდან).

პარტკალენდარი

საქ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება სთხოვს ალექსანდრე მელიტონის-ძე **ხეცურიანს** სამი დღის ვადაში გამოცხადდეს ამხ. წულაიასთან საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებაში. (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი № 27).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების პარტიული სტატისტიკისა და ერთიანი პარტბილეთის სექტორში (ოთახი № 5) უნდა გამოცხადდნენ: გიორგი დიმიტრის-ძე **ადილაშვილი**, ნიკოლოზ სოფრომის-ძე **ქავთარაძე**, ალასი გრიგოლის-ძე **პელოიანი**, პროკოფი სტეფანეს-ძე **პილიუშჩენკო**, ალექსი თედორეს-ძე **გლასკოვი**, ანდრია მიხეილ-ძე **კორნეევი**, ალექსანდრე გაიოზის-ძე **ჯვარშეიშვილი**, ივანე ივანეს-ძე **პავლოვი**, იასონ ვლადიმერის-ძე **ელიზბარაშვილი**.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., **ოქტომბერი**, **დამკვრელი**, **კომკავშირელი** (საზაფხულო), **ლუქსემბურგის** სახ. — „სიმღერა სიყვარულზე“, **კომკავშირელი** (ზამთრის), **სპარტაკი, 26 კომ.** სახ. (ზამთრის), **კომინტერნი** — „ფრონტელი მეგობარი ქალები“, **ბერიას სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — „უკანასკნელი ბანაკი“, **განთიადი** — „ჭაბუკი ტაიგიდან“, **ვოროშილოვის** სახ. **კლუბი** — „ოქროს მთიბი“, **ორჯონიკიძის** სახ. **პარკი**—„საიდუმლო კუნძული“, **სტალინის სახელობის პარკი**—„დაბრუნება“.

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე
გ. ჯიბლაძე

უშიშარი სარდალი

(დასასრული)

სების წინააღმდეგ — რუსები მდინარე ალასთან მიმწყვდეული აღმოჩნდნენ. ბევრი დაიღუპა ამ მდინარეში, ბევრი — ფრანგთა ზარბაზნების ყუმბარებით.

უკანასკნელ წუთში ბაგრატიონს გარს შემოეხვივნენ მოსკოვის პოლკის ჯარისკაცები და იგი გაუძღვა მათ კონტრიერიშზე, რითაც ბევრს მისცა გადარჩენის და მდინარეზე გადასვლის საშუალება. ბაგრატიონმა ხმალი იშიშვლა და იბრძოდა როგორც რიგითი ჯარისკაცი, მან უკანასკნელმა დასტოვა სისხლით მორწყული ბრძოლის ველი.

1807 წელს ტილზიტში დადებულმა ზავმა გენერალ ბაგრატიონს ხანგრძლივი მოსვენება ვერ მისცა. 1808 წელს იგი სარდლობდა მე-21 ქვეითა დივიზიას და მონაწილეობა მიიღო შვედებთან ომში. ფინეთის სუსხიანი ზამთარი, მისი უღრანი ტყეები, ღრმა თოვლი პოლოშეთის ჭაობებსა და ლაფზე უფრო ძნელი გადასალახავი იყო, მაგრამ ბაგრატიონი ამანაც ვერ შეაჩერა. თავისი დივიზიით მან მთელი ფინეთი გაიარა და სანაპიროზე გავიდა. შვედებთან ომი გაჭიანურდა. 1809 წლის ზამთარში გადაწყვეტილ იქნა ზღვის ყურეზე შვეციაში გასვლა და სტოკჰოლმის აღება. ყველა გენერალი უარს ამბობდა ამ ლაშქრობაზე. გრაფმა არაკჩეევმა რჩევა ჰკითხა ბაგრატიონს და ასეთი პასუხი მიიღო: „გვიბრძანეთ, წავალთ...“ და მართლაც იგი გაუძღვა თავის ჯარებს ზღვის ყურეს ყინულზე, გარეკა შვედები და ფინელები, ხელთ იგდო ბევრი ტყვე და ზარბაზნები და დაიკავა ალანდის კუნძულები.

როდესაც ბაგრატიონის ავანგარდმა შვეციის ნაპირებს მიაღწია, შვედებმა ზავზე დაიწყეს ლაპარაკი.

გათავდა თუ არა ომი, ბაგრატიონს ინფანტერიის გენერლის ხარისხი მისცეს და დანიშნეს რუსეთის იმ არმიის მთავარსარდლად, რომელიც დუნაიზე თურქების წინააღმდეგ იბრძოდა.

და აი, ბაგრატიონის წინაშე გადაშლილია არა ფინეთის თოვლი და ტყეები, არამედ დუნაის ნაპირის ფართო ველები, და მის ჯარისკაცებს სტანჯავს არა სიცივე, არამედ სიცხე და ეპიდემიები.

სულ მოკლე ხანში ბაგრატიონმა აიღო მაჩინის, გირსოვის, იზმაილის, ბრაილოვის ციხე-სიმაგრეები, დაამარცხა თურქების 15-ათასიანი კორპუსი რასევატთან და მიიღო ალექსანდრე პირველის რესკრიპტი. „თქვენი წინამძღოლობით მომქმედი ჯარების ვაჟკაცობამ და სიმამაცემ, — ნათქვამი იყო რესკრიპტში, — ახალი სახელი მოუხვეჭეს მათ და მოგვცეს შემდგომი წარმატების იმედი“. მაგრამ ამჯერად წარმატება ვერ იქნა მიღწეული. ჯარებში შიმშილი და ეპიდემიები მძვინვარებდა. არა ბრძოლაში, არამედ ლაზარეთებში იღუპებოდა ბაგრატიონის არმია, რომელსაც მეფემ არ მიაწოდა სურსათ-სანოვაგე და გაატარებინა ზამთარი უდაბურ, უტყეო ველებში.

დიდხანს არწმუნებდა ბაგრატიონი ალექსანდრე პირველს გაფრთხილებოდნენ არმიას, გადმოსულიყვნენ დუნაის გაღმოღმა, გაემაგრებინათ ჯარები და დაეწყოთ ახალი კამპანია გაზაფხულზე. ბოლოს მიაღწია ამას, მაგრამ გადაყენებულ იქნა მთავარსარდლის პოსტიდან.

ბაგრატიონს აფასებდნენ სუვოროვიც, კუტუზოვიც და ნაპოლეონიც, რომელიც მას რუსეთის არმიის საუკეთესო გენერლად სთვლიდა. მას აფასებდნენ, სიყვარულით უყურებდნენ და მისი უძლეველობის რწმენით გამსჭვალული იყვნენ რუსი ჯარისკაცები, ხოლო 1812 წლის ომმა ცხადჰყო, თუ რის უნარი შესწევდა ბაგრატიონს.

○

1812 წლის გაზაფხულზე, როდესაც ნაპოლეონის დიდი არმია, რომელიც ნახევარი მილიონი ჯარისკაცისაგან შესდგებოდა, ნემანზე იყრიდა თავს, მის წინააღმდეგ იდგა რუსეთის ორი არმია. 1-ლ არმიაში, რომელსაც ბარკლაი-დე-ტოლი სარდლობდა, 118 ათასი ჯარისკაცი იყო, მე-2-ში კი, რომელსაც ბაგრატიონი სარდლობდა, — სულ 35 ათასი. სამარი მოქმედების გეგმით, რომელიც გერმანელმა გენერალმა პფულმა შეადგინა, ორივე არმია განლაგებული იყო ერთმანეთის დაშორებით: 1-ლი — ნემანის ნაპირზე, ხოლო მე-2 — სამხრეთ ლიტვაში.

ნაპოლეონის ურდოებმა რუსეთის საზღვარი გადმოლახეს და იწყეს ორივე არმიის გარშემორტყმა. ბარკლაი-დე-ტოლიმ, არმია რომ გადაერჩინა, დაიწყო უკანდახევა სმოლენსკისაკენ, და მეფემ უბრძანა ბაგრატიონს აგრეთვე უკან დაეხია ბარკლაისთან შესაერთებლად. ნაპოლეონი ცდილობდა ხელი შეეშალა ამ შეერთებისათვის და აჩქარებდა თავის გენერლებს ბოლო მოეღოთ მე-2 არმიისათვის, თვითონ კი პირველ არმიას დაედევნა. ბაგრატიონის არმიას მარშალ დავუს არმია აწვებოდა.

ბაგრატიონმა მეტად ოსტატურად დააღწია თავი ფრანგების მარწუხებს. უძლიერესი მოწინააღმდეგის წინაშე უკანდახევა მან სრული წარმატებით შეასრულა. ბაგრატიონი უკან იხევდა ბრძოლებით. უკანდახევას იფარავდნენ ცხენოსანი ჯარი და ყაზახები, რომლებსაც უძლიერესი კონტრიერიშები მიჰქონდათ ფრანგების წინააღმდეგ. 25 ივლისს ბაგრატიონი გადმოვიდა დნეპრზე ნოვი ბიხოვთან და გადაუხვია სმოლენსკისაკენ. საბრძოლო სიმღერებით შედიოდა ბაგრატიონის არმია სმოლენსკში და ქება-დიდებით მოსავდა თავის მხედართმთავარს. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ჯარებმა დღედაღამ ბრძოლებით გამოიარეს ბელორუსიის ტყეები და ჭაობები.

1-ლი და მე-2 არმიები შეერთდნენ, მაგრამ პოზიცია სმოლენსკთან ჩვენთვის იმდენად უხერხული აღმოჩნდა, რომ გადაწყდა კვლავ უკანდახევა.

მალე ორივე არმიის მთავარსარდლად დაინიშნა ძველი სუვოროველი მ. ი. კუტუზოვი. მან მიიყვანა რუსეთის არმია ბოროდინომდე და იქ გენერალური ბრძოლა გაუმართა ნაპოლეონს.

ეს ბაგრატიონის უკანასკნელი ბრძოლა იყო. მისი ჯარები იცავდნენ ბოროდინოს პოზიციის ყველაზე სახიფათო ადგილს, ამ პოზიციის მარცხენა ფლანგზე, სოფელ სემიონოვსკაიასთან, ნაპოლეონის მთავარი ძალების წინააღმდეგ, რომლებსაც ნაპოლეონის საუკეთესო მარშლები — დავუ, ნეი და მიურატი სარდლობდნენ, ბევრჯერ გადმოჰყავდათ მათ იერიშზე თავის ჯარები, მაგრამ ბაგრატიონი ყოველთვის უკუაქცევდა მათ. მარშლები გააფთრებული და გაბოროტებული იყვნენ. ისინი თავს უყრიდნენ თავიანთ დამარცხებულ პოლკებს, სთხოვდნენ ნაპოლეონს ძველი გვარდიის დახმარებას და კვლავ უტევდნენ ბაგრატიონის სიმაგრეებს. ის კი, როგორც ყოველთვის, აუღელვებლად განაგრძობდა განკარგულებათა გაცემას, ხოლო გადამწყვეტ მომენტში წინ გაუძღვა კირასირთა დივიზიას. აქ დასრულდა მისი გმირული სარბიელი: ყუმბარის ნატეხმა მას ფეხი დაუმსხვრია.

ბაგრატიონი ეტლით სასწრაფოდ გაგზავნეს მოსკოვში, მაგრამ ოპერაციის გაკეთება აღარ მოხერხდა, იმიტომ რომ მოსკოვს უკვე ნაპოლეონი უახლოვდებოდა, და დაჭრილი ბაგრატიონი ვლადიმირში წაიყვანეს. მიუხედავად ჭრილობებით გამოწვეული ტკივილებისა, მიუხედავად საშინელი ტანჯვისა შემოდგომაზე ცუდი გზებით მოგზაურობის შედეგად, გენერალს ერთი კვნესაც არ აღმოხდომია.

ვლადიმირში რომ მიაღწიეს, დაჭრილის მდგომარეობა გაუარესდა. ჭრილობა გაუწმინდეს, ამოუღეს ყუმბარის ნატეხები თეძოს ძვლიდან. ექიმებმა ბაგრატიონს წინადადება მისცეს ფეხი მოეჭრათ. მან უარი განაცხადა.

მიუხედავად ტანჯვისა ბაგრატიონი კვლავ თავისი არმიის ინტერესებით ცოცხლობდა, გზავნიდა იქ საჭირო ქაღალდებს, მაგრამ მას უმალავდნენ, რომ მოსკოვი ნაპოლეონს დაუტოვეს. პასუხი რომ ვერ მიიღო, ბაგრატიონმა დაიბარა უნტერ-ოფიცერი და თვითონ უბრძანა წაეღო პაკეტი მოსკოვში. უნტერ-ოფიცერმა არ იცოდა, რომ ბაგრატიონს მოსკოვის დაცემას უმალავდნენ, და მოახსენა, ნაპოლეონი უკვე მოსკოვშიაო.

საშინლად შეშფოთებული ბაგრატიონი საწოლიდან წამოვარდა, დაეცა და გრძნობა დაჰკარგა. დაიწყო განგრენა. 1812 წლის 24 სექტემბერს გენერალი ბაგრატიონი გარდაიცვალა.

ლიტერატურული დამუშავება
მ. ბრაგინისა.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ ა. წ. 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე (მარის ქ. № 1) აუდ. № 99 ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დოცენტი **ვასილ გიორგის-ძე ჩანტლაძე** დაიცავს დისერტაციას ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„გადასახადი და სიღარიბე“** (ჰენრი ჯორჯი და მისი თანამოაზრენი).

ოფიციალური ოპონენტები: დოცენტი, მეცნ. კანდ. გ. ს. გამყრელიძე.
დოცენტი, მეცნ. კანდ. ა. პ. გოკიელი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი **დ. ყიფშიძე.**

101

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

ფილოლოგიის ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 30 ივნისს, დღის 1 საათზე, აუდ. № 103.

ა. ი. კიზირია—ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„მართვა-შეთანხმების საკითხები ძველს ქართულში ჯრუჭის ოთხთავის მიხედვით“**.

ოფიციალური ოპონენტები: აკადემიკოსი აკ. გ. შანიძე
პროფესორი ვ. თოფურია.

ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე, აუდ., 93.

ს. ა. სიმონგულოვი—ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„სტალინის მიერ მარქსისტულ-ლენინური პარტიის იდეოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების დაცვა 1901—1905 წ. წ. პერიოდში“**.

ოფიციალური ოპონენტები: დოცენტი, მეცნ. კანდიდატი ა. გ. ნუცუბიძე
მეცნიერებათა კანდიდატი ნ. გ. ცხაკაია.

შ. ს. კილაძე—ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„შემეცნების თეორია ფეიერბახის ფილოსოფიაში“**.

ოფიციალური ოპონენტები: დოქტორი, პროფესორი მ. ი. გოგიბერიძე
პროფესორი კ. ს. ბაქრაძე.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი **დ. ყიფშიძე.**

102

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა

აცხადებს,

რომ 1941 წლის 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ენიმკის შენობაში (ლერმონტოვის ქ. № 3) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ამავე ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი **ავთანდილ პავლეს-ძე იოსელიანი** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„იესე ოხეს-ძე ბარათაშვილის ლიტერატურული შემოქმედება, სამოხელეო-პოლიტიკური მოღვაწეობა და მეურნეობა“**.

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. ნ. ბერძენიშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი **შ. ჩხეტია** და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **დოც. ი. აბულაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლერმონტოვის ქ., № 3).

243

დირექცია.

რძალი ელენე, შვილებით ჩიტოთი, ლალათი, მაზლები იოსებ და ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე გუგუნავები იუწყებიან
ანა გრიგოლის-ასულ გუგუნავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/VI 8 ს. გამოსვენება 11/VI 6½ ს. ორჯონიკიძის, 32, კუკიის სასაფლაოზე. 12219

მეუღლე კოლია, შვილები ვერიკა მასხარაშვილისა ქმარშვილით, პელო, მაზლები ბაქუა, ეორა ოჯახებით იუწყებიან
ნატალია გიგოს-ასულ ხატელიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11/VI 8 ს. გამოსვენება 12/VI 6½ ს. ფიროსმანის, 44. 12223

წიკლაური, ყურაშვილი, ზუკაკიშვილი, ჩადუნელი, ჯიქია, შაქარაშვილი, უსეინაშვილი, ცხვარიაშვილი, ხვადაგიანი, ზაალიშვილი, ბეღელური, კილურაძე, ცერცვაძე, ბალაშვილი, ტოროშელიძე იუწყებიან
ლუბა სომხიშვილის
გარდაცვალებას. 12218

თბილისის მე-27 საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება
ელისაბედ პაპიტაშვილის
გარდაცვალებას. 12221

მე-14 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან
ამბაკო ფარნაოზის-ძე ოდიშარიას
გარდაცვალებას. 12225

საქ. წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის ადმინისტრაცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან
კონსტანტინე ალექსის-ძე ბაბუნიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ფოთში. 12226

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან
ელენე იმერლიშვილი-იარალოვის
გარდაცვალებას. 12185

არტელ „ძაფ-მაუდის“ მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან გრიშა ასანიშვილის ძმის
ვიგა ლევანის-ძე ასანიშვილის
გარდაცვალებას. 12224

მშობლები ანიკო, ალალო, ძმები კოლია, ვახტანგ, მიშა სომხიშვილები, ბიძა ვასილ მჭედლოვი მეუღლით ანათი, შვილებით კოტეთი, ირინეთი იუწყებიან
ლუბა სომხიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 10/VI 6 ს. ანტონოვის, 10, კუკიის სასაფლაოზე. 12216

მშობლები ბარბარე, ვანო მექაშვილები, და მერი ქმრით ერვანდით, ბიძა სოსო ცოლით ნიურათი იუწყებიან, რომ 15/VI თელავში დანიშნულია
შოთა ივანეს-ძე მექაშვილის
პანაშვიდი. 12222

ქალაქის I საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან
ელისაბედ პაპიტაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/VI 8 ს გამოსვენება 11/VI, 6 ს. ეორესის, 54. 12227

ცოლი სონა, შვილები მარო, ეორა, ეთერ, სიძე ერმილე სიგუა, ძმა გიორგი ცოლშვილით იუწყებიან
ალფეზ ალექსის-ძე პანჩიკიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. დაკრძალვა 12/VI დიდუბის, 6, კუკიის სასაფლაოზე.

თბილისის რაიონების სამხედრო კომისარიატთა უფპოლიტშემადგენლობა იუწყება მაიორ ოდიშარიას ძმის ექიმ
ამბაკო ფარნაოზის-ძე ოდიშარიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/VI, 8 ს. გამოსვენება 11/VI 6½ ს. ძერჟინსკის, 10. 242

შვილი კაკურა, სიძე ანტონ წულუკიძე შვილებით ცისანათი და გრიგოლით იუწყებიან
ემელიანე ნესტორის-ასულ ულენტის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11/VI 8½ ს. ორჯონიკიძის, 59, დაკრძალვა 12/VI 6½ ს. 12220

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3-62-26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა — 3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა — 3-06-88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3-81-84; სასოფლო-სამეურნეო — 3-73-40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3-80-83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3-80-84; სამხედროსი — 3-57-61; წერილების — 3-73-24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების — 3-81-65; გამომცემლობის —3-51-81; სტამბის დირექტორის —3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ., № 28.

1

უე 22684